2	C.G.M van 't Klooster, S. Tserodze.	On deployable reflector antennas for a c-band companion satellite for sentinel	Proceedings of 37th ESA Antenna Workshop „Workshop on Large Deployable Antennas	15-17 November 1016 WSTEC, Noordwijk, The Netherlands	
3	Sh.Tserodze; J.Santiago Prowvald; V. Gogilashvili, K. Chkhikvadze	Transformable reflector structure with V-folding rods	CEAS Spase Journal of European Aerospace Societies: CEAS Spase Journal: Volume 8, Number 4 (2016),		11

ანოტაციები

1. The present paper relates to a mechanical support fromes forspace application, such as deployable antennas or solar concentrators and also to methods of deployment of the same. The present work seeks to simplifi the Frame, provide light weight and also improve the reliability of the deployment process.

2. The Copernicus program exploits synthetic aperture radar (SAR) data from the Sentinel I mission. One (or more) companion satellite(s) receiving Sar data in bistatic modus, could enhance the information output for the Sentinel I mission. In this paper initial feasibiliti aspects are addressed for deployable and fixed reflector antennas for such satellites. A VEGA launcher might be used for such a receive-only mission. It constraints payload-sizes in a launch configuration. Receive-only feedarrays are needed, with digital beam-forming (DBF) and further signal processing techniques.
3. A new design of space deployable reflector is presented. In particular, we consider closed-chain system (with central network), which as a result of transformation reaches the conical shape. In conformity with the technical specifications, individual parts of the system perform the simultaneous motion in the radial and axial directions.

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა ბ) უცხოეთში

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ. ლორთქიფანიძე	წყლის ხარისხის კონტროლი, ნატანის ტრანსპორტირების მოდელირება და მისი შემდგომი დამუშავება	თურქეთი, ტრაბზონი. 26-27 ნოემბერი
მოხსენებათა ანოტაციები			

### გამოგონება

ავტორები	სახელმწიფება	პატენტი

1. ბ. სურგულაძე 6. სვანიძე ლ. ფირფულაშვილი	წინასწარ დამაბუღლი ჩარჩოვანი კონსტრუქცია	პატენტი AP013727 1.VI 2016წ.
2. შ. ბაქანიძე კ. ლოლაძე მ. ლორთქიფანიძე და სხვ.	მეწყერული ფერდოების დაკალთებისგამაგრების ხერხი	პატენტი A u 2016 13962 უ
3. Shota Tserodze, Julian Bernard Santiago Provald, Govanni-Lorenco Scialino, Elguja Medzmariashvili, Nodar Tsignadze, Malkhaz Nikoladze	A mechanikal support frame for space refleqtor and method of deployment of the same	Application of invencion Ident.#13785/01  (11.03.2015), Int. cl H01Q15/16, B64g5/00

### ანოტაცია

- გამოგონება განკუთვნილია მიწისზედა ნაგებობების მშენებლობას, რომლის გამოყენება შესაძლებელია სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობების ჩონჩხედის (კარკასის) ასაგებად და ხიდების მშენებლობაში წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია წინასწარდაძაბული ჩარჩოვანი კონსტრუქციების არსებული ანალოგები და მათი ტექნიკური გადაწყვეტები. კრიტიკული ანალიზის საფუძველზე განხილულია მათი დაღებითი და უარყოფითი მხარეები. მოცემულია სავარაუდო გამოგონების ახალი ტიპის წინასწარდაძაბული ჩარჩოვანი კონსტრუქცია ტექნიკური გადაწყვეტა.
- განხილულია მეწყერული ფერდოების და კალთების გამაგრების ახალი ხერხი. მასალები წარდგენილია გამოგონებაზე პატენტის მოსაპოვებლად.
- გამოგონება არსობრივი ექსპერტიზის სტადიაზეა და განეკუთვნება ტრანსფორმირებად სახსრულ-ლეროვან მექანიკურ სისტემას. მასში ერთდროულად გამოყენებულია აქტიური და პასიური ამზრავები, შესაბამისად ძრავებისა და მგრეხავი ზამბარების სახით, რომელთა ერთობლივი მუშაობის შედეგად მიიღება მრავალეტაპიანი გასლის სურათი. ადსანისნავია, რომ მუშა ზედაპირი იშლება თავისუფლად ენერგეტიკული დანახარჯების გარეშე, ხოლო სისტემა საბოლოოდ იძაბება ქვედა რგოლის გაშლით. გარდა ამისა სისტემა თვითსინქრონიზებადია და შესაბამისად არსებულ ვარიანტებთან შედარებით გამარტივებული და შემსუბუქებულია.

## ჰიდროენერგიის დეპარტამენტი (104)

დეპარტამენტის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი):  
პროფესორი მირიან ყალაბეგიშვილი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

სრულიპროფესორები:

ლალი ღოღელიანი (ემერიტუსი)

იური ქადარია

ნოდარ კოდუა (ემერიტუსი)

შალვა გაგოშიძე

მირიან ყალაბეგიშვილი

ამირან საყვარელიძე (მოწვეული)

გიორგი დალაქიშვილი (მოწვეული)

ზურაბ დანელია (მოწვეული)

ასოცირებული პროფესორები:

თამაზ ამბროლაძე

პეტრე ჭიჭალუა

ალექსანდრე ახვლედიანი

იუნონა მარგალიტაძე

ავთანდილ გოგოლაძე

გახტანგ ნანიტაშვილი

ქონსტანტინე ხაზალია (მოწვეული)

გიორგი ზალიკაშვილი (მოწვეული)

მარინე თოფურია (მოწვეული)

**I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული  
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს  
საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს**

**I. 4.**

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებული ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ახალი ტიპის მოტივტივუ- მოცურავე ტალღაშემარბილებელ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსის შემუშავება სანაპირო ზოლისა და დია პორტების შტორმული ტალღებისაგან დასაცავად.	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო ხელშეკრულება №FR/360/3-105/13 (2014-2017წ)	ზ.ციხელაშვილი	ი.ქადარია გ.ბერძენაშვილი თ.ყირიმლიშვილი

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული  
შედეგების შესახებ ვრცელი ანორაცია (ქართულ ენაზე)**

1. შემუშავებული იქნა ახალი ფორმის მოტივტივე შტორმშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობის ბმული კომპლექსის ვარიანტი, რომელიც განკუთვნილია ზღვის თავთხელი სანაპირო – რეკრიაციული ზოლისა და ლია ნავსადგურების შტორმული ტალღებისაგან დასაცავად. შესაბამისად შემუშავებული ინოვაციური პროექტი გარკვეულ ქმედითუნარიანობას შესძენს ზღვისპირა ქალაქებში ლია ნავსადგურების და სანაპირო-რეკრიაციული ზოლების სარეაბილიტაციო-სივრცით პერსპექტიულ მშენებლობას.

**II. 1. პუბლიკაციები:**

**ა) საქართველოში**

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელმწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გმერდების რაოდენობა
---	-----------------	---------------------------------	-----------------------------------	------------------------

1	ი.მარგალიტაძე ქ. გეგეშიძე	“სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციები და საზღვაო საქმე”. “სტანდარტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა”	თბილისი საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი” ელექტრონული ვერსია	132გვ.
2	გ.დალაქიშვილი	“სტანდარტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა”	(110.)	
1. გეოგრაფიულმა მდებარეობამ საქართველო მოაქცია მსოფლიოს გეოსტრატეგიულ ინტერესთა სფეროში. უამრავ პრობლემათა შორის მნიშვნელოვანია საზღვაო ტრანსპორტის სფეროში შექმნილი რთული ვითარება, რომლის გადაჭრას არსებითი მნიშვნელობა ენტება საგარეო საფარო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებისა და მსოფლიო ეკონომიკასთან საქართველოს ინტეგრაციისთვის. საზღვაო ნაოსნობა უმნიშვნელოვანების როლს ასრულებს მსოფლიო ეკონომიკაში, ვინაიდან ცენტრალური აღგილი უჭირავს ტვირთების გადასაზიდად ერთიან გლობალურ სატრანსპორტო სისტემაში. საქართველო, რომელიც ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ჩართვისკენ ისწრაფვის, დედამიწის ორი ნაწილის – ეკონომიკისა და აზიის დამაკავშირებელი არეალის თავისებურ ცენტრად გვევლინება.				
2. ანოტაცია: სახელმძღვანელოში გაერთიანებულია სტანდარტული პროფესიული საგანმანათლებლო ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსის პროგრამით გათვალისწინებული საგნების სახელმძღვანელოები, რომლებიც ემსახურებიან თავისი შინაარსით ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსის პროფესიული კვალიფიკაციის სპეციალისტის აღზრდას.				

### სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, შერნალის/კრებულის დასახელება	შერნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა.საყვარელიძე	წვრილმარცვლოვანი ბეტონის მოცულობითი ცოცვადობის ბირთვის ახალი სახის	№1-2 (21-22) 2016წ.	თბილისი, სტუ	6 გვ.

		გამოსახულება, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენშემცველობას. “ჰიდროინჟინერია”			
2	ა.საყვარელიძე ნ.ლუდუშაური ნ.ნარიმანიძე	ხანგრძლივად დატვირთული ბეტონის პუარნის კოეფიციენტის დამოკიდებულება მასალის ტენშემცველობაზე. “ჰიდროინჟინერია”	№1-2 (21-22) 2016წ.	თბილისი სტუ	6 გვ.
3	ა.საყვარელიძე ნ.ლუდუშაური ნ.ნარიმანიძე	წვრილმარცვლოვანი ბეტონის ცოცვადობის ბირთვების პუასონის და მოცულობითი კუმშვის კოეფიციენტის დადგენა. “ენერგია”	№1 (77) 2016წ.	თბილისი სტუ	6 გვ.
4	ა.საყვარელიძე ნ.ლუდუშაური ნ.ნარიმანიძე	სხვადასხვა ტენშემცველობის წვრილმარცვლოვანი ბეტონის მოცულობითი ცოცვადობის ბირთვების დადგენა. “მშენებლობა”	№2(41) 2016წ	თბილისი სტუ	6 გვ.
5	ა.საყვარელიძე	საშენი მასალები, კონსტრუქციები და ნაგებობები, ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში. წიგნი- “ჰიდროტექნიკური მშენებლობა” თავი 7.	2016წ.	თბილისი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.	96 გვ. ელ.ვერ სია 656 გვ.
6	თ.ამბროლაძე	მაქსიმალური ხარჯებისა და დონეების გაანგარიშება დაკვირვებათა არაერთგვაროვანი რიგის არსებობის შემთხვევაში. “ენერგია”	№1(77) 2016წ.	თბილისი სტუ	89 გვ.

7	ი.მარგალიტაძე ლ.გაბიძაშვილი	საქართველო, როგორც საზღვაო ქავეანა	შრომების კრებული №2	თბილისი საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი UNIGEORGIA	5გვ
8	ი.მარგალიტაძე ქ. გეგეშიძე ლ.გაბიძაშვილი	საქართველოს, როგორც სატრანსპორტო დერეფნის როლი და მნიშვნელობა	შრომების კრებული №2	თბილისი GEN	5
9	შალვა გაგოშიძე მანონი კოდუა ლაშა რურუა	ქალაქ ფოთის წარეცხილი სანაპირო ზოლის აღდგენის ღონისძიებათა შესახებ	მოხსენება თა კრებული 2016	თბილისი	გვ.11-16
10	მ.კოდუა	გრძელი ტალღების ტრანსფორმაციის შესახებ მდინარეთა შესართავ აკვატორიებში	№ 1-2(21-22) 2016წ	სამეცნიერო- ტექნიკური ურნალი „ჰიდროინჟინერ ია“	გვ.69-75
11	ა.ფრანგიშვილი ზ.ციხელაშვილი ნ.ჩეეიძე ი.ქადარია პ.გიორგაძე	სანაპირო არეებში მოტივტივუ რიალდაშემარბილებელი ნაგებობების მოწყობისას მოსალოდნელი შედეგები.	№3(42) 2016წ.	სამეცნიერო- ტექნიკური ურნალი “გშენებლობა” შპს “დიაპაზონი”	8გვ.
12	ი.მასპინძელაშვილი ი.ქადარია	სიგრცეში მოცემული ამოზნექილი მრავალჯუთხედის მიმართ წერტილის მდებარეობის დადგენა, თუ წერტილი და მრავალჯუთხედი, ერთ სიბრტყეზე მდებარეობს.	№3(42) 2016წ.	სამეცნიერო- ტექნიკური ურნალი “გშენებლობა” შპს “დიაპაზონი”	7გვ.
13	Топурия М. Сурмава А.	Определение величины повышения давления в трубопри гидравлическом ударе	№ 1-2(21-22) 2016	სამეცნიერო- ტექნიკური ურნალი,,ჰიდრ ოინჟინერია	6
14	ზ.დანელია,	წყლის მიერი ერთიანის	№ 1-2(21-22)	სამეცნიერო-	5

	ქ.თოვეურია	პროდუქტების კლასიფიკაცია და ტერმინოლოგია	2016წ	ტექნიკური ჟურნალი „ჰიდროინჟინერია“	
15	M.KalabegiShvili	Iakublo Earth Fill Dam Erosion and Stability	Tbilisi, 2016	ENERGY	6
16	Георгий Далакишвили Константин Хазалия	«Определение полей деформации бетона при развитии внутренних напряжений, от температурного воздействия».	ჟურნალი “ენერგია” №1(77)/2016	2016 წ.	82-88 გვ.

### ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. განხილულია ჰიდროინჟინერიაში გამოყენებული წერილმარცვლოვანი ბეტონის სიმტკიცისა და დეფორმირების საკითხები. პირველად შემუშავებულია მოცულობითი ცოცვადობის ბირთვის ახალი სახის გამოსახულება (ლოგარითმული ფუნქციების გამოყენებით). დადგენილია ცოცვადობის ბირთვების მასალის ტენშემცველობაზე დამოკიდებულების კანონი და შექმნილია კანონის ამსახველი ანალიტიკური გამოსახულებები. პირველად ბეტონმცოდნეობაში შექმნილია წერილმარცვლოვანი ბეტონის მოცულობითი ცოცვადობის ბირთვი, მასალის ტენშემცველობის გათვალისწინებით. შექმნილი თეორიული გამოსახულებები საშუალებას გვაძლევს კონსტრუქციების გაანგარიშებისას, ზუსტად ავსახოთ დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა მათ ტანში.
2. შესწავლილია ცემენტის ფუძეზე დამზადებული კომპოზიტების – ბეტონის მექანიკური მახასიათებლები – სიმტკიცედეფორმაციები, დრეპადობის მოდელები და ა.შ. დადგენილია ბეტონების ცოცვადობის პარამეტრები კუმშვისას და გრეხისას. ნაჩვენებია ხანგრძლივი დატვირთვის დროს მასალაში პუსონის კოეფიციენტის ცვლილება დროში. შემუშავებულია პუსონის კოეფიციენტის დროზე და მასალის ტენშემცველობაზე დამოკიდებულების ფორმულები. შემუშავებული თეორიული საკითხები საშუალებას გვაძლევს, მნიშვნელოვნად დავაზუსტოთ და დავხვეწოთ ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციების საანგარიშო მეთოდიკები.
3. გამოკვლევის მიზანია – კომპოზიტებში (ბეტონებში) ძაბვებსა და დეფორმაციებს შორის კავშირის ფორმატში შემავალი სხვადასხვა ცოცვადობის ბირთვების, მათ შორის კავშირის კანონის დადგენა და კანონის აღმწერი ფორმულების შექმნა. ჩატარებულია კუმშვაზე, გაჭიმვისა და გრეხაზე ხანმოკლე გამოცდები და ცოცვადობის ექსპერიმენტები. ექსპერიმენტების მონაცემებით დადგენილია: ბეტონის კუმშვა-გაჭიმვის ცოცვადობის ბირთვები, შემუშავებული ფორმულით განსაზღვრულია ბეტონის მოცულობითი ცოცვადობის ბირთვი, დადგენილია ფორმულები და

განსაზღვრულია ბეტონის პუასონის და მოცულობითი კუმშვის კოეფიციენტები. დამტკიცებულია, რომ პუასონის კოეფიციენტი დროში მუდმივია, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ცოცვადობის ბირთვებს შორის კავშირს. დადგენილია ბეტონის სხვადასხვა ცოცვადობის ბირთვებს შორის კავშირის ამსახველი ფორმულები.

4. კუმშვასა და გრეხაზე, ჩატარებულია სხვადასხვა ტენშემცველობის წვრილმარცვლოვანი ბეტონის მექანიკური მახასიათებლები (სიმტკიცე, დეფორმაციები, დრეკადობის და ძვრის მოდულები, ცოცვადობის პარამეტრები). ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავებულია წვრილმარცვლოვანი ბეტონის მოცულობითი ცოცვადობის ბირთვის გამოსათვლელი ფორმულა, მასალის კუმშვა-გაჭიმვის და ძვრის ცოცვადობის ბირთვების გამოყენებით. დადგენილია სხვადასხვა ტენშემცველობის წვრილმარცვლოვანი ბეტონის მოცულობითი ცოცვადობის ბირთვები; ნაჩვენებია, რომ კომპოზიტის მოცულობითი ცოცვადობის ბირთვი იზრდება, მასალის ტენშემცველობის მატების პროპორციულად.
5. პროფესიული განათლების სტუდენტებისათვის შექმნილი სახელმძღვანელოს მე-7 თავში მოცემულია: საშენი მასალების კლასიფიკაცია, მათი ფიზიკა-მექანიკური თვისებები; სიმტკიცისა და დეფორმაციის მახასიათებლები; მოცემულია ბუნებრივი და სელოვნური ქვის მასალების ძირითადი მექანიკური მახასიათებლები და მათი მიღების წესები; განხილულია არაორგანული და ორგანული შემკვრელი ნივთიერებები, მოცემულია მათი კლასიფიკაცია ფიზიკა-მექანიკური თვისებები; დაწვრილებით არის განხილული სხვადასხვა სახის ბეტონების თვისებები, მათი მიღების ტექნოლოგიური პარამეტრები და სხვადასხვა ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. მოცემულია ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების დაარმირების და დაყალიბების ხერხები; განხილულია მშენებლობაში გამოყენებული ლითონის და ხის კონსტრუქციების ჰიდროსაიზოლაციო თანამედროვე მასალები. განხილულია ჰიდროტექნიკური ნაგებობების ტიპები და მოცემულია მათში გამოყენებული კონსტრუქციების სახეები და დანიშნულება.
6. მაქსიმალური ხარჯებისა და დონეების გაანგარიშება, მათი წარმოშობის პირობების მკვეთრად განსხვავების შემთხვევაში, მოითხოვს გაანგარიშების სპეციალური მეთოდების დამუშავებას. ასეთ შემთხვევაში, ცალ-ცალკე უნდა აიგოს წყალდიდობისა და წყალმოვარდნის ანალიზური მრუდები და შემდეგ, მათი საშუალებით აიგოს უზრუნველყოფის განზოგადოებული მრუდი, რომლის საშუალებითაც იანგარიშება მაქსიმალური ხარჯები. განზოგადოებული უზრუნველყოფის მრუდის ასაგებად, შედგენილია სიმბოლურ ენაზე პროგრამა Mathematica-8. ანგარიში ჩატარებულია ერთი შემთხვევისათვის.
7. საქართველო ისტორიულად საზღვაო ქვეყანაა. იგი საზღვაო კარიბჭეა ამიერკავკასიისთვის. საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ განაპირობა მისი აქტიური ჩართვა ისტორიული ტრანსკავკასიური კორიდორის განვითარებაში. დიდია საქართველოს ისტორიული როლი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნების დაკავშირებაში. “ახალი აბრეშუმის გზის” განხორციელება იქნება სრულიად ახალი ეტაპი ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების საქმეში.

8. საქართველოს გეოპოლიტიკური პოტენციალის ათვისების და საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში მისი ინტეგრაციის ერთ-ერთი ეფექტიანი ფორმა არის საქართველოს სატრანზიტო სატრანსპორტო დერეფნის თანამომსახურეობის ფუნქციის შესრულება. ტრასეკას პროექტის ორალიზაციით საქართველო რეალურად ერთვება მსოფლიოს გლობალურ ინტერესთა სფეროში. ტრასეკას დერეფნის ამოქმედების პროცესში საქართველო ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორი ხდება.
9. სტატიაში ისტორიულ ჭრილში განიხილება ქალაქ ფოთის წარეცხილი სანაპირო ზოლის აღსადგენა და ჩატარებული ღონისძიებები. გაანალიზებული და თეორიულად დასაბუთებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში პროფესორ გ. რურუს მიერ შემუშავებული და განხორციელებული მეთოდი, რაც მდგომარეობს ქალაქის არხში მდინარის ნატანით გაჯერებული ხარჯების გატარებაში მხოლოდ მაშინ, როცა ზღვა იმყოფება წყნარ მდგომარეობაში. რადგან შტორმის შემთხვევაში მდინარის მყარი ნატანი უმიზნოდ იკარგება ზღვაში და არ ხმარდება ნაპირის აღდგენას.
10. სტატიაში განიხილება მდინარეთა შესართავ აკვატორიებში ტალღების გაანგარიშების ამოცანა, რომელიც არსებული ენერგეტიკული მოდელებისაგან განსხვავებით უშუალოდ ეფუძნება ცვალებადი სიღრმის თავთხელ ნაკადებზე ტალღური მოძრაობების წრფივი განტოლებების ანალიზურ ამოხსნას. ნაჩვენებია, რომ მდინარის შესართავის მახლობლად, ზღვის მცირე სიღრმეებზე, მდინარის შემხვედრი დინება აფერხებს როგორც ტალღის სიმაღლის ინტენსიურ ზრდას, ასევე მისი სიგრძის კლებას. მიღებული შედეგების თანახმად, ტალღის სიგრძის ცვლილება მდინარის შესართავში დამოკიდებულია არა მხოლოდ მდინარის დინების პარამეტრებსა და ზღვის სიღრმეზე, არამედ, ტალღური რხევების სიხშირეზეც.
11. ლაბორატორიულ პირობებში გამოიცადა და ნატურისათვის რეკომენდებულია ახალი ტიპის ეფექტური მოტივტივე ტალღაშემარბილებელი საინჟინრო პიდრობექნიკური ნაგებობის ბმული კომპლექსი შავი ზღვის სანაპირო-რეკონსტრუქციული ზოლის მიმდებარე ტერიტორიების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.
12. დადგენილია, რა პირობები უნდა სრულდებოდეს ამოზნექილი მრავალკუთხედის შემთხვევაში, რომ წერტილი მდებარეობდეს მრავალკუთხედის არეში, ან მის გარეთ, რა წერტილი და მრავალკუთხედი ერთ სიბრტყეზე მდებარეობს.
13. სტატიაში განხილულია სითხის დაწევითი მოძრაობა, მიღებში საკეტის მყისიერი დაკეტვის დროს, რომლის შედეგადაც იცვლება წნევა და შესაბამისად სიჩქარე დროის მცირე მონაკვეთში და ადგილი აქვს ჰიდროკუნძულის დარტყმის მოვლენას, საანგარიშო ფორმულის მისაღებად გამოყენებულია მოძრაობის რაოდენობის ფორმულა რომლის თანახმადაც დროის გარკვეულ მონაკვეთში მოძრაობის რაოდენობის ნაზრდი ტოლია ძალების იმპულსების პროექციათა ჯამისა მოძრაობის მიმართულებაზე.
14. აღნიშნული სტატია ეძღვნება ნებისმიერი ეროზიის პროდუქტების კლასიფიკაციას

და ტერმინოლოგიების დამკვიდრებას ქართულ პიდროლოგიურ კვლევებში და მათ გავრცელებას ამ დარგის სპეციალობებში. .

15. იაგუბლოს ერთგვაროვან გრუნტის კაშხლის სადაწნეო ზედაპირზე მისი დაცვის მიზნით ადგილი ჰქონდა დიდი ზომის ქვების დაყრას, რომელიც თანდათანობით ჩაიძირა ნაგებობაში და შეამცირა ფილტრაციის გზა. კანასკნელის შედეგად გაიზარდა ფილტრაციული ნაკადის პარამეტრები, მათ შორის დაწნევის გრადიენტები და ასევე დეპრესიის ზედაპირის დონე. ყოველივემ გააძლიერა გრუნტის სუფოზია - განსაკუთრებით სადაწნეო წახნაგის მხარეს და შეამცირა ფერდის მდგრადობის მარაგები.

ამასთან დაკავშირებით განხილული იქნა სხვადასხვა სარეაბილიტაციო ვარიანტები, რომელთა შორის ყველაზე მისაღები აღმოჩნდა თიხის ეკრანის ვარიანტი. უკანასკნელი უზრუნველყოფს დეპრესიის ზედაპირის მნიშვნელოვან დაწევას და მდგრადობის მარაგების გაზრდას, რომლის დროს კმაყოფილდება მდგრადობის ნორმატიული მოთხოვნები.

16. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ბეტონის დეფორმაცია და ბზარწარმოქმნა, მატრიცისა და მსხვილი შემვსების ზონაში, რომელიც გამოწვეულია ტემპერატურული ზემოქმედებით ცემენტის ქვის გამყარების დროს.

ჰოლოგრაფიული ინტერფერომეტრის მეთოდით კვლევის დროს, მიღებული იყო ხარისხობრივ-რაოდენობრივი შედეგი შეკლებითი დეფორმაციისა და დაძაბული მდგომარეობის ფორმირების, მიკრომოცულობებში, შემვსების მარცვლებსა და „მატრიცა-შემვსების“ კონტაქტურ ზონებში.

## II. პუბლიკაციები:

### ბ) უცხოეთში

#### სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	შერნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	M.Kalabegishvili	Issues of Enguri Arch Dam Bottom Outlet Journal of Technical Science&Technologies	ISSN: 2298-0032 e-ISSN: 2346-8270 Volume 4/	November 2015 International Black Sea University	

		Structures	Issue 2/			
<b>ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე</b>						
1.		<p>ენგურჟესის სიღრმული წყალსაგდები აღჭურვილია მუშა და სარემონტო საპეტიო, რომლებიც განთავსებულია კაშხლის კონსოლურ ნაწილში (ქვემო ბიეფის მხარეს). სარემონტო საკეტისა და კამერის კედლებს შორის პროექტის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორმხრივი გამჭიდროება. წყალსაგდების ბეტონირებისა და სამონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს დაშვებული უზუსტობების გამო ქვედა გამჭიდროება საერთოდ ვერ გააკოდა, რის გამოც სარემონტო საკეტის კამერა მთლიანად აღმოჩნდა წნევის ქვეშ, რაც მნიშვნელოვნად ზრდის დატვირთვებს კონსოლზე და პროექტით არ დაიშვებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით 1989 წელს №17 წყალსაგდებზე მოხდა კამერის ქვედა ნაწილის დაბეტონება და სარემონტო საკეტზე გამყოლი რგოლის გადაჭრა.</p> <p>სარემონტო საკეტის კორპუსის პერმეტულობის დარღვევასა და ბეტონში განვითარებულ ფილტრაციისთვის დაკავშირებით, №17 წყალსაგდების მუშა კამერის კორპუსში (2006 წელს) რკბეტონის დიაფრაგმას მოწყდა კორპუსის ლითონის ფილა და დეფორმირდა საკეტის მხარეს, რამაც გარკვეულად ხელი შეუშალა საკეტის მოძრაობას. აღნიშნული თავის მხრივ იწვევს დატვირთვების გადანაწილებას და კონსოლის მუშაობის პირობების გაუარესებას.</p> <p>სიღრმული წყალსაგდების ბეტონირებისა და მონტაჟის დროს სამწუხაროდ მოხდა სარემონტო საკეტების კორპუსის ფაქტიური გაბარიტების გადახრა საპროექტო პარამეტრებიდან. ამასთან დაკავშირებით ქვემო ბიეფიდან საერთოდ ვერ გაკეთდა გამჭიდროება. ამის შედეგად ძირითადი საკეტის ჩაკეტილ მდგომარეობაში ყოფნისას სარემონტო საკეტის კამერა მუდმივად იმყოფება დაწნევით რეჟიმში, რომლის დროს კონსოლურ ნაწილზე მუდმივად მოქმედებს 210 მნ ძალა, რომელიც პროექტით მხოლოდ 40 წთ-ით დაიშვებოდა. ამ დროს დატვირთვები კაშხლის კონსოლურ ნაწილზე ორჯერ იზრდება. ექსპლუატაციის პერიოდში ზემო ბიეფის მხრიდან არსებული პოლიეთოლენის გამჭიდროება სამწუხაროდ თითქმის ყველა მილსადენზე გამოვიდა მწყობრიდან.</p> <p>საკეტის აღდგენა საპროექტო პარამეტრებით მოიხოვს მათ მთლიანად გადაკეთებას (სისქის შემცირება და სხვა) რაც თითქმის შეუძლებელია. ამ საკითხებთან დაკავშირებით წყალსაგდების გამოსასვლელ კვეთში მოწყობილი იქნა სპეციალური დიაფრაგმა, რამაც შეამცირა წყლის ხარჯი (4653/წმ-მდე), შესაბამისად ნაკადის სიჩქარე და სარემონტო საკეტის კორპუსში კავიტაციის განვითარების საშიშროება. ამან კი მოხსნა გამყოლი რგოლის არსებობის აუცილებლობა.</p> <p>სსენებულ მიზეზებთან დაკავშირებით 1989 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება №17 წყალსაგდების რეკონსტრუქციის შესახებ, რაც გულისხმობს სარემონტო საკეტიდან გამყოლი რგოლის მოჭრას და კამერის ქვედა ნაწილის დაბეტონებას, რაც კონსოლზე სხნის დატვირთვებს 1.35 მნ-მდე.</p> <p>ნაშრომში მოცემულია კაშხლის კონსოლურ ნაწილის სივრცითი გაანგარიშების ცალკეული შედეგები და სიმტკიცის ანალიზი:</p>				

- ექსპლუატაციის ნორმალური პირობების არსებობისას (მუშაობს საკეტის გამჭიდროებები);
- ექსპლუატაციის ნორმალური პირობების დარღვევისას (სარემონტო და ძირითადი საკეტების კორპუსებზე წნევის ზემოქმედებისას კონსტრუქციის ბზარმედეგობის შეფასება);
- ექსპლუატაციისშემდგომ პერიოდში კონსოლის არმირებულ კონსტრუქციაში ბზარის გაჩენისა და მასში ფილტრაციული წნევის განვითარებისას.

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	შალვა გაგოშიძე მანონი კოდუა ლაშა რურუა	ქალაქ ფოთის, წარეცხილი სანაპირო ზოლის აღდგენის ღონისძიებათა შესახებ.	მე-6 საერთაშორისო კონფერენცია- წყალთამეურნეობის, გარემოსდაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები.  თბილისი, 22 – 25 სექტემბერი 2016წ.

მოხსენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე

სტატიაში ისტორიულ ჭრილში განიხილება ქალაქ ფოთის წარეცხილი სანაპირო ზოლის აღსადგენა და ჩატარებული ღონისძიებები. გაანალიზებული და თეორიულად დასაბუთებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში პროფესორ გ.რურუას მიერ შემუშავებული და განხორციელებული მეთოდი, რაც მდგომარეობს ქალაქის არხში მდინარის ნატანით გაჯერებული ხარჯების გატარებაში მხოლოდ მაშინ, როცა ზღვა იმყოფება წყნარ მდგომარეობაში. რადგან შტორმის შემთხვევაში მდინარის მყარი ნატანი უმიზნოდ იკარგება ზღვაში და არ ხმარდება ნაპირის აღდგენას.

### ბ) უცხოეთში

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Sh. Gagoshidze	Applied Analytical Methods for Solving Some Problems of Wave Propagation in the Coastal Areas	European Geosciences UnionGeneral Assembly Austria, Viena, 17-22 April 2016
2	I.Saghinadze, M.Pkhakadze, Sh.Gagoshidze	Hydro-engineering and environmental problems in Poti Black Sea region and ways of their solution	European Geosciences UnionGeneral Assembly 2016 Austria, Viena, 17-22 april 2016

მოხსენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე

1. მოხსენებათა ოეზისები ეძღვნება, სანაპირო არეებში წყლის ტალღურ მოძრაობათა პიდროდინამიკის, ზოგიერთი ამოცანის ანალიზურ ამოხსნას.

2. ნაშრომი ეძღვნება ფოთის რეგიონში, პიდროსაინჟინრო პრობლემების გამოკვლევას და მათი გადაჭრის გზების დასახვას.

Work is dedicated to the development of hydro-engineering and environmental protection measures in the Black Sea regions, the main Georgian port of Poti at the mouth of the Rioni, which will minimize the region geomorphological changes caused by the influence of natural and anthropogenic factors, and will over a long period protect coastal areas of these regions from washouts and large scale silting processes. The research objects are: 1. Poti seashore, which has retreated for hundreds of meters, promoted with the existence of underwater canyon along the southern pier of the port; 2. The Rioni river watershed dam, the tail race of which in time was subjected to destruction and substantial washout. Currently the stability of the dam is endangered; 3. "City Canal" - the Rioni river old bed, which is greatly silted up and is virtually unable to perform its function – to feed Poti seashore with solid matter. The work for the hydrodynamics solutions using high-precision mathematical methods. In particular, for the establishment of coastal longshore migrations of sediment and deformations of the coastal zone is used finite element method, Crank-Nicolson scheme and method of upper relaxation in the calculation of wave propagation in the estuarine areas of the Rioni River uses direct and asymptotic (particularly WKB) Methods of mathematical analysis. The results obtained using these models will be put as a base of development of such engineering measures and design proposals which: a) will provide sustained increase of Poti coastal line on the basis of working out of exploitation regimes of the Rioni watershed hydro complex and as a result of performing additional engineering measures in "City Canal"; b) will thoroughly protect the Rioni watershed hydro complex dam tail-water from destruction and washouts. The packets of mathematical programs and analytical methods of calculation worked out in the work may be used for the solution of the similar tasks for any closed sea coastal areas at design of hydro-technical constructions.

**დამატებითი ინფორმაცია პროფ. მირიან ყალაბეგიშვილის მიერ შესრულებულ სამუშაოზე**

Nº	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	უინვალპესის კაშხლის მდგრადობის ანალიზი მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით	მ. ყალაბეგიშვილი	ა. გოგოლაძე ზ. მენაღარიშვილი გ. სადუნიშვილი
<b>ანოტაცია</b>			
ჩატარებული იქნა უინვალპესის გრუნტის კაშხლის საექსპლუატაციო პარამეტრების ანალიზი მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით. საექსპლუატაციო პარამეტრები მოიცავს:			
<ul style="list-style-type: none"> <li>- კაშხლის ფილტრაციულ რეჟიმს (დაწნევები, დაწნევის გრადიენტები, ფილტრაციული ხარჯები);</li> <li>- წყალსაცავისა და ფილტრირებული წყლის ტემპერატურა;</li> <li>- გრუნტისა და ბეტონის წყალსაგდები კაშხლების ჯდენებსა და გადაადგილებებს.</li> </ul> <p>გაზომვების შედეგების მიხედვით ჩატარებული იქნა კაშხლის ანალიზი სუფოზიაზე, ასევე ფერდების მდგრადობის მარაგების შეფასება ექსპლუატაციის სხვადასხვა პირობებისათვის – შევსებული და დამუშავებული წყალსაცავის არსებობისას. მდგრადობის ანალიზი მოიცავს საექსპლუატაციო დატვირთვების ნორმალურ და განსაკუთრებულ ( 8 ბალიანი მიწისძვრის ზემოქმედებისას) შეთანაწყობას.</p>			

**ფინანსობარაგების, ფინანსირების, თბოაირმობარაგების და შენობების საინიციატივო დაზურვის დეპარტამენტი**

**დეპარტამენტის უფროსი- პროფ. ნიკოლოზ ნაცვლიშვილი**

**დეპარტამენტის პერსონალური შემადგენლობა:**

1.	ლევან ქლიმიაშვილი	პროფ. 0.5
2.	დავით გურგენიძე	პროფ. 0.5
3.	ნიკოლოზ ნაცვლიშვილი	პროფ.
4.	გურამ სოსელია	პროფ. 0.5
5.	ალექსანდრე დავითაშვილი	პროფ.
6.	ირმა ინაშვილი	პროფ.
7.	ზაურ ციხელაშვილი	პროფ. ემერიტუსი
8.	კონსტანტინე ბზიავა	პროფ. მოწვ.
9.	მამული გრძელიშვილი	პროფ.
10.	ოთარ ფურცელაძე	პროფ.მოწვ.
11.	ირაკლი შეყრილაძე	პროფ.
12.	შოთა მესტვირიშვილი	პროფ.
13.	ოთარ გიორგობიანი	პროფ. მოწვ.
14.	ვაჟა ნაჭყებია	ასოც.პროფ.
15.	ზურაბ გვიშიანი	ასოც.პროფ. მოწვ.
16.	მარინა ნაცვლიშვილი	ასოც პროფ.
17.	დიმიტრი გუბაუბიძე	ასოც.პროფ.
18.	კარინა მელიქიძე	ასოც.პროფ. 0.5
19.	ხათუნა ხატიური	ასისტ.პროფ. 0.5
20.	ალექსი ქოპალიანი	უფრ.მასწავლებელი
21.	ნანა მეფარიშვილი	უფრ.მასწავლებელი
22.	ინგა ნავდარაშვილი	უფრ.მასწავლებელი
22.	ირინა დენისოვა	უფრ.მასწავლებელი
23.	გიორგი ელიავა	უფრ.სპეციალისტი

24.	ლია სოსელია	უფრ.სპეციალისტი
25.	დავით დარჩია	მასწავლებელი
26.	ნათია მახარობლიძე	ლაბორანტი
27.	ირაკლი მუსერიძე	ლაბორანტი

I. 1. **საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლის გეგმით  
შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მდინარე ორაგვის დელეზე წყალმიმდები ახალი ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობა	პროფ. გურამ სოსელია	გურამ სოსელია

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.მდინარე ორაგვის დელეზე დაგეგმარდა თანამედროვე წყალმიმდები ნაგებობა წყლის მიწოდებით საინფილტრაციო მოედანზე, რომელიც აღჭურვილია სადრენაჟო სისტემებით და ირიგინალური დაბალწევიანი კაშხლით, რომლის სიგრძე 42.5 მეტრია. იგი საინფილტრაციო მოედანს იცავს მდინარის მიერ შემოტანილი ნატანისგან. ქვიშის ფენის კალმატაციისგან დაცვის მიზნით საინფილტრაციო მოედნიდან ,რომლის ფართი 6127 მ<sup>2</sup>, თვეში ერთხელ დამის-მიწის მწოვი აგრეგატი იღებს ზედა მცირედ კალმატირებულ ფენას 20-50 მმ-ს სისქით. მშენებლობის დამთავრების შემდეგ გათვალისწინებულია მონიტორინგი წყლის რაოდენობის შენარჩუნებაზე ,რაც ხელს შეუწყობს ნაგებობის სრულყოფილ ექსპლოატაციას.

აღნიშნული პროექტის მასალები გამოიყენა მაგისტრანტმა და თეორიული საკითხები გამოქვეყნებულია ქურნალ “ჰიდროინჟინერიაში”.

## I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მდინარე არაგვის ხარის - ხობრივი მაჩვენებლების დაცვა ანთროპოგენული ზეგავლენისგან	პროფ. გურამ სოსელია	გურამ სოსელია
<p style="text-align: center;">გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>ამჟამად სრულდება პროექტის პირველი ეტაპი: მუშავდება არაგვის ხეობის დასახლებულიპუნქტების საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების ორგანიზებულად გაყვანის დონისძიებები. სათანადო შესწავლის შემდეგ ყოველ დასახლებულ პუნქტს მიესადაგება მცირე საკანალიზაციო სისტემის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები თანამედროვე მოდულების სახით. ჩვენს მიერ დამუშავებული კმა წმენდის უბნის გავლის შემდეგ სრული ბიოლოგიური გაწმენდის მიღწევით შესაძლებელი გახდება გაწმენდილი წყლის ჩაშვება მდინარე არაგვში ლაბორატორიული კვლევების ჩატარების საფუძველზე. პროექტზე მუშაობენ დოქტორანტი, მაგისტრი და მაღალკვალიფიციური პროექტანტები. პროექტი მრავალწლიანია და ითვალისწინებს როოგორ თეორიულ კვლევებს, ასევე პრაქტიკულ საქმიანობას.</p>			

## I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს

№	პროექტის დასახე- ლება მეცნიერების დარგისა და სამეც- ნიერო მიმართულებ- ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	FR/607/10-170/13 “ეროზიულ- დარცვოფული	შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი	ი. ერუაშვილი	ი. ინაშვილი გ. გუხალაშვილი ქ. ბზიავა

	<p>პროცესების თეორიული კვლევა”</p> <p>10-170 სასოფლო- სამეურნეო მელიორაცია;</p> <p>9-280 ბუნებათსარგებლობა და მდგრადი განვითარება;</p> <p>9-180 ჰიდროლოგია;</p>		
--	---	--	--

**დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ  
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. დვარცოფსადინარებში ნაკადისა და კალაპოტის ურთიერთმოქმედება არსებითად განსხვავდება წყალსადინარებში მიმდინარე ანალოგიური პროცესებისგან. აქედან გამომდინარე, დვარცოფსადინარის მორფომეტრიასა და დვარცოფის ჰიდრავლიკურ პარამეტრებს შორის ურთიერთდამოკიდებულება დიამეტრალურადგანსხვავებული სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ თვითფორმირებადი კალაპოტი გამოირჩევა სპეციფიკურობით. იგი გავლენას ახდენს დვარცოფის სიჩქარეთა ველის ჩამოყალიბებაზე და ასევე კალაპოტური პროცესების ინტენსივობაზე. ასეთ სადინარებში კალაპოტური პროცესების პროგნოზირება, ნაკადის ჰიდრავლიკურ პარამეტრებსა და კალაპოტის მორფომეტრიულ მახასიათებლებს შორის კავშირის დამყარება და ახალი საანგარიშო დამოკიდებულებების თეორიული გზით გამოვვანა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და საანგარიშო მოდელების შერჩევა განსაკუთრებულ მიღების საჭიროებს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საანგარიშო პერიოდში მიღებულია შემდეგი შედეგები:

- შესწავლითა დვარცოფთა მოძრაობის პირობები გამოტანის კონუსებზე, შერჩებულია საანგარიშო მოდელები და მიღებულია საანგარიშო მახასიათებლები;
- ჩატარებულია გამოტანის კონუსებზე დვარცოფსარეგულაციო ნაგებობებზე მოსალოდნელი დამრტყმელი ძალების პროგნოზირება;
- პელაგიკის საფუძველზე სადინართა კალაპოტების მდგრადი ფორმის შეფასების საანგარიშოდ მიღებულია დამოკიდებულება, რომელიც ნაკადის ხარჯის, ქანობის და კალაპოტის შემადგენელი გრუნტის ნაწილაკის დიამეტრის სიდიდის ფუნქციას წარმოადგენს;
- დდაგენილია, რომ ნაკადის გაჩერების სიღრმე მისი ჩ ბმულობის, შინაგანი ხახუნის კუთხის და დვარცოფსადინარის კუთხის დახრის სიდიდესთან არის დაკავშირებული;
- დადასტურებულია, რომ ნაკადის გაჩერების შემთხვევაში სიღრმის ცვლილების პროპორციული დამოკიდებულება ბმულობასთან, ხოლო დვარცოფის გაჩერების შეფასების დროს ქანობის ზრდა იწვევს დროის მნიშვნელობის გაზრდას და იგი არაწრფივ დამოკიდებულებაშია შინაგანი ხახუნისა და დახრის კუთხის ფარდობით სიდიდესთან.

#### I. 4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ახალი ტიპის მოტივიგურ-მოცურავე	რუსთაველის ფონდი,	პროფ.	პროფ.

	<p>ტალღაშემარბილებელ პიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსის შემუშავება სანაპირო ზოლისა და პორტების შტორმული ტალღებისგან დასაცავად</p>	<p>თანადამფინანსებელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი</p>	<p>ზ.ციხელაშვილი ი.ქადარია, აკად.დოქტორი გ. ბერძენაშვილი აკად.დოქტორი ო. ყირიმლიშვილი</p>
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>1.მიმდინარეობს თემის დამუშავება, მე-6 ბოლო ეტაპი, რომლის ანგარიში რუსთაველის ფონდს 2017 წლის მარტში ჩაბარდება.</p>			

## II. პუბლიკაციები:

### ა) საქართველოში

#### სახელმძღვანელოები

Nº	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნაჭელია ვაჟა ხატიური ხათუნა	წყლის მიწოდების და განაწილების სისტემები	გადაცემულია სტუს გამომცემლობაში 2016 წ.	
2	ო. ნათოშვილი, ო. ყრუაშვილი, გ. გაგარდაშვილი, ო. ინაშვილი	მეთოდური რეკომენდაციები ლგარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების პროექტირებისათვის (პიდრავლიკური გაანგარიშები)	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადმია, თბილისი, საქართველო	48
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

1.სახელმძღვანელოში წყლის მიწოდების და განაწილების სისტემის სქემები;მათში შემავალი ნაგებობების დანიშნულება, მუშაობის რეჟიმების და გამოყენების არეალი სასმელ-სამეურნეო წყლის მომხმარებლის სახეები, წყლის მოხმარების წორმები, საჭირო ხარჯების დადგენის წესი.მოცემულია წყალსადენის ქსელების დახასიათება, მათი გამოყენების სფერო, ქსელიდან წყლის გაცემის სქემა და საანგარიშო ხარჯების დადგენის მეთოდი. ,ოყვანილია სხვადასხვა სახის წყალსადენის ქსელის პიდრავლიკური და ტექნიკური განვითარების მეთოდები. სახელმძღვანელოში მოცემულია წყალმომარაგების სისტემაში გამოყენებული ცენტრიდანული ტუმბოების კონსტრუქციები, მუშაობის პრინციპები, გამოყენების სფერო. მოყვანილია საანგარიშო ფორმულები და ანგარიშის შედეგების ანალიზი. განხილულია ტუმბოების მახასიათებელი მრუდების აგების წესი, მათი პრაქტიკული გამოყენების სფერო. ტუმბოების შერჩევის პრინციპი, მუშაობის რეჟიმები, მართვის და რეგულირების საკითხები. განხილულია სხვადასხვა დანიშნულების სატუმბო სადგურების პროექტირების და მშენებლობის საკითხები.

2.ნაშრომში განხილულია ისეთი საკითხებია, როგორებიცაა: მოთხოვნები საინჟინრო კვლევების მიმართ; ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების პროექტი-რეაბილიტაციული ნაგებობები; ღვარცოფგამტარი ნაგებობები; ღვარცოფმიმმართველი ნაგებობები; მასტაბილიზირებელი ნაგებობები; ბმული ღვარცოფული ნაკადის დამრტყელი ძალის განსაზღვრა ყრუ და გამჭოლ ღვარცოფგადამდობ ნაგებობაზე; ბმული ღვარცოფის გამოტანის კონუსზე გაფართოება და გაჩერება; ღვარცოფული ნაკადის ამმაღლებელი უკუტალდის სიმაღლის განსაზღვრა განივ ყრუ ზღუდარზე; ბმული ღვარცოფის უდაწნეო მოძრაობა გალერეაში; წყლის ნაკადის ზემოქმედება კალაპოტის ფსკერზე მდებარე დიდ ქვაზე; მსხვილგაბარიტიანი კლდის მონაცენის ღვარცოფული ნაკადით გადაადგილების მექანიზმი; ზვავისებრი ბმული ღვარცოფული ნაკადის დინამიკური მახასიათებლების პროგნოზი; „მონოსოლური“ ტალღური ნაკადები; ბმული ღვარცოფის თანაბარი მოძრაობის მდგრადობა დიდი ქანობის მქონე კალაპოტებში; დაბალი მიწის კაშხლების გამრდვევი ტალღის სიმაღლის დადგენა. „მეთოდურ რეკომენდაციებში“ გათვალისწინებული მოთხოვნები უნდა სრულდებოდეს ღვარცოფსაწინააღმდეგო დამცავი ნაგებობების პროექტირების, ღვარცოფულ რეგიონებში ღვარცოფსაწი ნააღ მდეგო ღონისძიებების გატარებისა და ასევე, მშენებლობისთვის ჩატარებული საინჟინრო კვლევების დროს.

## სტატიები

Nº	აგტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	შურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
----	------------------	---	---------------------------------	--------------------------------------	------------------------

1.	ჭ.ციხელაშვილი, ნ.ჩხეიძე, პ.გიორგაძე	ახალი ტიპის მცურავი შტორმშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბათუმის სანაპირო-რეკრეაციულ ზოლში განთავსების საკითხისათვის.  სამეცნიერო შრომების კრებული  “ბათუმი წარსული და თანამედროვეობა”	სამეცნიერო შრომების კრებული  „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” VI	გამომცემლობა “ჯეოპრინტი”, თბილისი, 2015	10
2.	ნ.ჩხეიძე ჭ.ციხელაშვილი პ.გიორგაძე	ბათუმის ეკოლოგიური პრობლემები და მისი გადაჭრის საკითხისათვის	სამეცნიერო შრომების კრებული, „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” VI	გამომცემლობა “ჯეოპრინტი”, თბილისი, 2015	9
3.	პ.გიორგაძე ზ.ციხელაშვილი ნ.ჩხეიძე გ.ჭიჭინაძე	საქართველოს მიწის- ქვეშა ბუნებრივი სას- მელი წყლის მარაგების ეფექტური გამოყენების შესახებ	სამეცნიერო შრომების კრებული,  „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” VI	გამომცემლობა “ჯეოპრინტი”, თბილისი, 2015	11
4.	ნ.ჩხეიძე გ.ბერძენიშვილი ზ.ციხელაშვილი	ბათუმის ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირდამცავი მცურავი მოწყობილობის გამოყენების თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული რეალიზაციის გზები.	სამეცნიერო შრომების კრებული ბათუმი “წარსული და თანამედროვეობა” VII	ბეჭდვაშია, გამოვა 2016 წლის დეკემბერში	7
5.	გ. გრძელიშვილი, ა. ქოპალიანი, ი. მარლიშვილი	“ნულოვანი ენერგომოთხოვნილების შენობების შემომზღვდი კონსტრუქციების თბოტექნიკური	“ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი	დეკემბერი, 2016 წ.	

		მახასიათებლების ოპტიმიზაცია” ჟურნალი “მშენებლობა”.			
6.	ო.ვურცელაძე, ნ.მეფარიშვილი, ი.დენისოვა	“იატავის გათბობის სისტემები ძველ ცივილიზაციებში”, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი.	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი.	1-2 (21-22) ჟურნალი “პიდროინჟინერ ია”.	გვ: 46-52
7.	О.Г. Пурцеладзе, Н.М. Мепаришвили, И.А. Денисова	«Особенности микроклимата православных храмов»,	ჟურნალი “პიდროინჟინერია” .	1-2 (21-22)	გვ: 53-59
8.	ი. ყრუაშვილი, ი. ინაშვილი, გ. ბზიავა, გ. ნატროშვილი	ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება ფერტიგაციის განვითნებით. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის”.		საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, საქართველო	4
9.	ი.ყრუაშვილი, კ.ბზიავა, ი.ინაშვილი, მ.ლომიშვილი	<u>Determination of optimal irrigation rates of agricultural crops under consideration of soil properties and climatic conditions.</u> Annals of Agrarian Science	Volume 14, Issue 3	Tbilisi, Georgia	217-221
10.	გ.სოსელია, ა.დავითაშვილი, ლ.კლიმიაშვილი, ნ.სოსელია	Estimation of Actual Consumption of Water by Tbilisi Population. “hidroinJineria” (samecniero- teqnikuri Jurnalı)	№ 1-2 (19-20) 2016წ.	თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	12
11.	ზ.ციხელაშვილი,	On the Issue of Improving the	№ 1-2 (19-20)	თბილისი,	4

	გ.სოსელია, ა.დავითაშვილი, ლ.ქლიმიაშვილი, ნ.სოსელია	Technical Processes of Water Treatment. "hidroinJineria" (samecniero-teqnikuri Jurnalii)	2016 წ.	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	
12.	გ.სოსელია, ა.დავითაშვილი, ლ.ქლიმიაშვილი, ნ.სოსელია	On simulations of Water Purification Process. “hidroinJineria” (samecniero-teqnikuri Jurnalii)	№ 1-2 (19-20) 2016წ.	თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	5
13.	თ.ოდილავაძე, კ.ბზიავა, ი.ინაშვილი, ა.დავითაშვილი	ვაზის წყალმოთხოვნილების განსაზღვრის თავისებურებანი.	№ 1-2 (19-20) 2016წ.	თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	8
14.	ნ.ნაცვლიშვილი, მ.ნაცვლიშვილი	სანიაღვრე წყალარინების კოლექტორის სიდიდის შეფასებისათვის.	სტუ, ურნალი “ჰიდროინჟინერია” №1-2 (21-22)	ქ.თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2016	4

### ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1.პროექტის მიზანია ადგილობრივ და/ან საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნადი მაღალტექნოლოგიური ინოვაციურ-კომერციული ღირებულების პროდუქტის შექმნა ზღვების და ოკეანების რეკრეაციული სანაპირო ზოლისათვის პრაქტიკული გამოყენების მოტივტივე ნაპირდამცავი ახალი ტიპის ტალღაჩამხშობი ჰიდროტექნიკური ნაგებობების კომპლექსის სახით.

მიზნის მისაღწევად წარმოდგენილი პროექტის განხორციელება დაგეგმილია ჰიდროდინამიკური და ფიზიკური მოდელირების საფუძველზე დასაბუთებული ახალი ტიპის ტალღაჩამხშობი ჰიდროტექნიკური ნაგებობების (და მათი ბმულების) ანალოგიური მოდელების კონსტრუირებითა და სერიული გამოცდით სპეციალურ ლაბორატორიულ ტალღაგენერატორზე შავი ზღვის სანაპირო-რეკრეაციული ზოლის (ქბათუმი, ქ.ფოთი და ა.შ.) მახასიათებელი პარამეტრების მიხედვით. შესაბამისად შესაძლებელი იქნება მიღებული შედეგების გამოყენება ქ.ბათუმის, ქ.ქობულეთის, ქ.ურეკის და სხვა ობიექტების საპილოტე პროექტების შემუშავებაში.

2. ნაშრომში წარმოდგენილი ბათუმის ზოგადი ეკოლოგიური პრობლემების გააზრება საშუალებას გვაძლევს განისაზღვროს ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც სასწრაფოდ აღმოფხვრილ უნდა იქნას.კერძოდ:აუცილებელია ბათუმის მერიაში შეიქმნას პროფესიონალებით დაკომპლექტებული ეკოლოგიური სამსახური; გამოინახოს სახსრები და ჩატარდეს სამუცნიერო-კვლევითი სამუშაოები ეკოლოგიური მიმართულებების მიხედვით;

ჩატარებულ კვლევით სამუშაოებზე დაყრდნობით შემუშავდეს შესაბამისი პროექტები ეკოლოგიურ პრობლემების მოსაგვარებლად; გამოინახოს შესაბამისი თანხები პროექტების რეალიზაციისათვის.

ქალაქის მოსახლეობის ეკოლოგიურ პროცესებში ჩართულობით მოხდება არა მარტო ეკოლოგიური მონიტორინგი, არამედ შენარჩუნდება ეკოლოგიური უსაფრთხოების მაღალი თამასა.

3. მსოფლიოში სასმელი წყლისმ წვავე დეფიციტის თანამედროვე ტოტალური პრობლემის ფონზე „საქართველოს სასმელი წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სწრაფი განვითარების პროგრამა-კონცეფციისა და ამის საფუძველზე შედგენილი წყლის პროექტის „წყალი-ეროვნული სიმდიდრეს“ (პროექტი სერტიფიცირებულია „საქპატენტის მიერ) შემქმნელმა მეცნიერ-ავტორთა და დამფუძნებელთა ჯგუფმა მიზნად დაისახა აღნიშნული ლოგისტიკურ-ინოვაციური პროექტის შესაბამისად საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ნაწილის (2მ<sup>3</sup>/წამში მოცულობით) კომერციული რეალიზაციის მიზნით გამოყენება. პროექტი ითვალისწინებს ქვეყნის მუნიციპალიტეტებში სასმელი წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი ქარხნების ინდუსტრიის, შავ ზღვაზე საკუთარი პორტტერმინალის მშენებლობას, შესამაბისი ინფრასტრუქტურის მოწყობას და ა.შ. აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული პროექტის განხორციელების შემთხვევაში ყოველწლიურად მიღებული იქნება 12 მლრდ. აშშ დოლარის მოგება, საიდანაც 3 მლრდ.აშშ დოლარი სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება).

4. შემოთავაზებულია ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირდამცავი ინოვაციური ტიპის ეფექტური მცურავი შტორმშემარბილებელი ნაგებობა-მოწყობილობების გამოყენების თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული რეალიზაციის გზები. ინოვაციური ტექნოლოგია, კერძოდ, შეიძლება რეკომენდებულ იქნას შავი ზღვის სანაპირო-რეკრეაციულ ზოლის მიმდებარე ტერიტორიების (ზათუმის, ფოთის და ა.შ.) ეკოლოგიური დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, იმ ტერიტორიებზე, სადაც ინტენსიურად აღინიშნება სანაპირო-რეკრეაციული ზოლის (და პლაჟის) შეუქცევადი წარეცხვები, დატბორვები და სხვა. აღნიშნული ინოვაციური ტექქნოლოგიის გამოყენება ასევე შესაძლებელი იქნება ღია პორტების ვრცელი აკვატორიის შემოზღუდვის მიზნით.

5. განხილულია შენობათა ენერგომოთხოვნილების შემცირების გზები შემომზღუდი კონსტრუქციების თბოტექნიკური გაანგარიშების საფუძველზე თბოსაიზოლაციო შრის ოპტიმალური სისქის დადგენით. განხილულია ენერგოეფექტური, პასიური და ნულოვანი ენერგომოთხოვნილების სახლები. თანამედროვე სამშენებლო მასალების საშუალებით შესაძლებელია საქართველოში ისეთი შენობების აგება, რომელთა კედლებსაც უქნებათ თბოგადაცემის კოეფიციენტი 0,1 ვტ/მ<sup>2</sup>·°C-ის ფარგლებში. ეს კი მოგვცემს საშუალებას, არსებულ შენობებთან შედარებით, თბოდანაკარგები შევამციროთ დაახლოებით 20-ჯერ. ასეთი ტიპის სახლების მშენებლობის დროს შესაძლებელი გახდება შენობები მოწყოს გათბობის სისტემების გარეშე, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სანიტერული და კომფორტული პირობების დაცვა.

6. სტატიაში მიმოხილულია ძველ ცივილიზაციებში არსებული იატაკის გათბობის სისტემები, ამ სისტემების ჩასახვა და განვითარება, როგორც ევროპაში, ისევე აზიის ქვეყნებში. აღწერილია კორეაში არსებული, ძვ. წ. მე-3 საუკუნის ონდოლის ტიპის გათბობის სისტემა

და საქართველოს ტერიტორიაზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნაქალაქარი ძალისის პიპკაუსტის სისტემა, რომელიც ახ. წ. I-IV საუკუნეებით თარიღდება.

7. მართლმადიდებლურ ეკლესიებში კომფორტის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ტაძარში არსებული მიკროკლიმატი. მიკროკლიმატან დაკავშირებული პრობლემები თავს იჩენს საეკლესიო დღესასწაულების დროს, როდესაც მრევლის რაოდენობა მაქსიმალურია. ტაძარში გათბობის ან ვენტილაციის სისტემის არასწორი გათვლის და მონტაჟის შემთხვევაში მოსალოდნელია ტემპერატურისა და ტენიანობის გაზრდა. მაღალმა ტენიანობამ შეიძლება გამოიწვიოს წყლის ორთქლის (კონდენსატის) გაჩენა შემომზღვდუდ კონსტრუქციებზე, დისკომფორტის შეგრძება და ფრესკებისა და ეკლესიის გაფორმების ელემენტების დაზიანება. სტატიაში განხილულია ფაქტორები, რომლებიც იწვევს კონდენსატის გაჩენას. წამოჭრილია მიკროკლიმატის პარამეტრების შენარჩუნებისთვის, შემომზღვდი კონსტრუქციების თერმული წიმაღობის სწორი გათვლის საკითხი.

8. ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება ფერტიგაციის განვითარებით.

მცენარის ზრდაგანვითარების პროცესში უამრავი შიდა და გარე ფაქტორთა შორის წყალს როგორც ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს პრიორიტეტული მნიშვნელობა გააჩნია. აქედან გამომდინარე, რწყვის რეჟიმის ოპტიმალური პარამეტრების შერჩევას წყლის დეფიციტის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სარწყავი წყლისა და სასუქების ერთობლივი ნორმირებული გამოყენება მაღალი და ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის პირობების ოპტიმიზაციის ორგანიზაციულ, ტექნოლოგიურ და ეკოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს და მის რეალიზებას სხვადასხვა მორწყვის სისტემების გამოყენება შეიძლება დაედოს საფუძვლად. ამასთან, სისტემა ირიგაცია-ფერტიგაცია საშუალებას იძლევა შეტანილ იქნას აზოტის, კალიუმის და სხვა ელემენტების დაბალანსებული რაოდენობა მცენრეთა ზრდა-განვითარების ფაზების გათვალისწინებით და დარეგულირებულ იყოს ოპტიმალური ნიადაგის ტენიანობა.

მიკროირიგაციის სისტემის პროექტირების დროს აუცილებელია ყოველთვის გათვალისწინებული იყოს ფერტიგაციის მოწყობილობა ნიადაგების, მოსაყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების, წყლის ხარისხისა და შემადგენლობის, ხელმისაწვდომი სასუქებისა და შემაქიმიკატების გათვალისწინებით. აუცილებელია გათვალისწინებული იყოს სასუქების ზუსტი შემადგენლობა და დოზები მცენარის მთელი სავეგეტაციო პერიოდისათვის.

ადსანიშნავია, რომ სუფთა წყალთან სასუქების შერევით მატულობს წყლის კონცენტრაცია, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს როგორც რწყვის ნორმებზე, აგრეთვე სისტემის პარამეტრებზე.

ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდიკით შესაძლებელია, გამოთვლილ იქნას, ფერტიგაციის გამოყენებით, სასუქებისა და საკვები ელემენტების შესატანი საჭირო რაოდენობა, ამა თუ იმ ნიადაგის ტიპისთვის, ეკოლოგიურად სუფთა დაგეგმილი მოსავლის მისაღებად.

#### 9.Determination of optimal irrigation rates of agricultural crops under consideration of soil properties and climatic conditions

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს წინაშე მკვეთრად ისახება წყლის დეფიციტის პრობლემა.

დადგენილია, რომ დღეისათვის, წყლის უკმარისობას განიცდის დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 1.5 მილიარდი, ხოლო 2050 წლისთვის მათი რაოდენობა სავარაუდოდ შეიძლება 3.5 მილიარდს მიაღწიოს.

დღეისათვის, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მთლიანად ქვეყანაში წყლის რესურსები საქმარისი იყოს, მსოფლიოში ამჟამად მაინც არ არსებობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი სახელმწიფო, რომელიც არ განიცდიდეს სიძნელეებს გარკვეული ტერიტორიების გაწყლოვანებაში. ისევე, როგორც მსოფლის მრავალ ქავეყანაში, საქაოველოშიც განსაკუთრებით რთულია იმ რეგიონების წყალუზრუნველყოფა, რომლებიც ქვეყნის ნახევრად არიდულ ზონაშია განლაგებული, ვინაიდან აქ წყალმოთხოვნილება საქმარებლის დიდია, ხოლო მისი ხელმისაწვდომობა დაბალი.

როგორც მრავალი მეცნიერის კვლევა ადასტურებს, რწყვის ტექნოლოგიებს შორის, წყლის ეკონომიკის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო საიმედოა წვეოური მორწყვა, ხოლო მასთან ერთად პოლიმერული მასალებით მულჩირების ტექნოლოგიის გამოყენება კიდევ უფრო ამაღლებს ეფექტურობას. აღნიშნული მეთოდების ერთობლივი გამოყენების შემთხვევაშიც კი, რწყვის რეჟიმის არასწორი შერჩევის დროს სარწყავი წყლის დანაკარგი დაახლოვებით 30%-ს შეადგენს.

2015 წელს სოფელ თამარისის (მარნეულის მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად სრუपოფილად შესწავლილ იქნა ადგილობრივი კლიმატური და ნიადაგური პირობები. მიღებული კლიმატურ და ნიადაგურ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შემუშავებლია სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის ოპტიმალური რეჟიმები ნიადაგ-გრუნტების ფილტრაციისა და ევაპოტრანსფირაციის გათვალისწინებით.

10.თბილისის წყალმომარაგების და წყალარინების პროექტი ითვალისწინებს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას. პროექტის მიზანია ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე თბილისის მოსახლეობის მიერ მოხმარებული წყლის ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრა, ჟონვების რაოდენობის შეფასება როგორც ამ სექტორში, ასევე მაგისტრალურ და სადისტრიბუციო ქსელში.

მაგისტრალურ და სადისტრიბუციო ქსელის შერჩეულ უბნებში დამონტაჟდა მოცულობითი და კომბინირებული წყლის მზომველები და გამოანგარიშებული იყო ჟონვების რაოდენობა თვითეულ კილომეტრზე.

კვლევებმა აჩვენა, რომ:

- მიღების შეერთების წერტილებში, მაღალი წნევა იწვევს ჟონვების ზრდას ერთ სულ მოსახლეზე (ლ / ერთსულ მოსახლეზე / დღეში);
- ჟონვის გაზრდა ზრდის შენობების დაზიანების რისკებს;
- მაგისტრალურ და სადისტრიბუციო ქსელში ჟონვების აღმოფხვრა იწვევს წყლის მიწოდების რაოდენობის შემცირებას და შესაბამისად სატუმბო სადგურებში გამოყენებული ელექტროენერგიის დანახარჯების შემცირებასაც.

11.წყლის გაწმენდის პროცესების გასაუმჯობესებლად გამოყენებული იყო ჰარინგტონის ფსიქო-ფიზიკური შკალა, რომელიც ადგენს დამოკიდებულებას სურველების ფუნქციასა და სხვადასხვა ცვლადებს შორის, რომლებიც გამოიყენება ამ პროცესის კონტროლისათვის.

აღწერილი იყო წყლის ხარისხის განმსაზღვრელი კომპონენტები .შემოთავაზებული მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩამდინარე წყლების გამწმენდ სადგურში ოპერაციული ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

12.ზოგადი სისტემური ანალიზის თეორიაზე დაყრდნობით, შესწავლილი და კლასიფიცირებული იქნა წყლის დამუშავების კომპლექსური პროცესი. შემოთავაზებულია წყლის დამუშავების პროცესის ინტეგრირებული კონცეპტუალური სქემა, რომელიც ეფუძნება ზოგადი სისტემური ანალიზის მიდგომებზე.

13. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარების დინამიკურ პროცესებზე მრავალრიცხოვანი ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი კლიმატური მახასიათებელი, როგორიცაა ევაპოტრანსპირაცია (ჯამური აორთქელება). ევაპოტრანსპირაცია და მისი განმაპირობებელი ფაქტორები სხვადასხვა კლიმატური პირობებისათვის წარმოადგენენ ძირითად მაჩვენებლებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალმოთხოვნილების და მისი ოპტიმალური პროდუქტიულობის დასადგენად.

ვაზის ევაპოტრანსპირაციის განსაზღვრისათვის ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა ბლინეი-კრიდლისმეთოდი, რომლის მიხედვითაც მაღალი სიზუსტით განვსაზღვრეთ ვაზის კულტურისათვის ირიგაციი სრეაციულირებადი დეფიციტის რეჟიმის მნიშვნელობები.

2013 წელს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საცდელ პოლიგონზე ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე, ლუილიამსის მეთოდით დავადგინეთ რქაწითელის ჯიშის ვაზისათვს ბიოლოგიური წყალმოთხოვნილების კოეფიციენტები და შესაბამისად, მისი წყალმოთხოვნილება ვეგეტაციის პერიოდში.

14. განხილულია სანიაღვრე წყლების აცილებისათვის საჭირო კოლექტორების (გვირაბების) ზომების (გამტარუნარიანობის) შეფასების საკითხი ქ. თბილისში მდინარე ვერეზე 2015 წლის 13-14 ივნისის წყალდიდობის მახასიათებლების მაგალითზე. განსაზღვრულია წვიმის საანგარიშო ხარჯის სიდიდე და გაანალიზებულია არსებული გვირაბის გამტარუნარიანობის ხარისხი წყლის დინების სხვადასხვა სიჩქარეების დროს. გამოთვლილი საანგარიშო ხარჯის სიდიდე (598–722 მ<sup>3</sup>/წმ) ორჯერ და მეტად აჭარბებს გვირაბის მაქსიმალურ გამტარუნარიანობას, ამასთან დამატებით გათვალისწინებული არ არის თავად მდ. ვერეს ჩამონატანი და ხარჯი. ბუნებრივია მდინარე ვერეს ნაკადი, რომელიც მოხვდა ვაკე-საბურთალოს გზის გადაკვეთაზე არსებულ გვირაბში, ამ უკანასკნელის გამტარუნარიანობის სიმცირის გამო შეიტბორებოდა და წარმოქმნიდა საშიშროებას, რაც სამწუხაროდ დადასტურდა კიდეც. რეკომენდებულია გვირაბის რეკონსტრუქცია მისი გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით.

## II. 2. პუბლიკაციები:

### ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გაერდების რაოდენობა
1	НатишилиО.Г., КруашвилиИ.Г., ИнашвилиИ.Д.	Проблемы водной эрозии почвы в сельском хозяйстве (Экологические проблемы)	LAP Lambert Academic Publishing, Германия	100

### ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. მონოგრაფიაში წარმოჩენილია ახალი იდეები და მიღებობები, რომლებიც იძლევიან ორიგინალურ შედეგებს. კერძოდ, პირველად განიხილება მცირე სიღრმის ნაკადებში ტალღების გავლენა ფერდობების ეროზიის ინტენსივობაზე. შემოთავაზებულია ფერდზე წარმოქმნილი ნაკადის თავისუფალ ზედაპირზე ტალღების წარმოქმნის პროგნოზირების მეთოდები, როგორც მცირე სიღრმის ნაკადებში ნიადაგის წრფივი ეროზიის დროს, ფაზების (წყალი, ნატანი) ცვალებადი და მუდმივი ხარჯის დროს ნაკადის დინების მიმართულებით. აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია წყალსადინარის დეფორმაციის შეფასება ეროზიის ბაზისის ცვალებადობის შემთხვევაში.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ქურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	I.Kruashvili, I. Inashvii, K. Bziava, M. Lomishvili	Soil Moisture Regulation in Irrigated Agriculture. International Journal of Agricultural and Biosystems	Vol:3, No:12	World Academy of Science, Engineering and Technology, Paris,	5

		Engineering		France	
2	И.Г. Круашвили, Э.Г. Кухалашвили, И.Д. Инашвили, К.Г. Бзиава, Д.Г. Лорткипанидзе	УСТАНОВЛЕНИЕ ГИДРАВЛИЧЕСКИХ ПАРАМЕТРОВ СЕЛЕВЫХ РУСЕЛ.  Экологические системы и приборы	№ 11	Научтехлитиздат, Москва, Россия	5

### ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

#### 1. Soil Moisture Regulation in Irrigated Agriculture

ნიადაგის აქტიურ ფენაში წყლის მოძრაობასთან დაკავშირებით ფილტრაციულ გაპილარული ანომალიების წარმოშობა ხშირად ნიადაგის პიდროვიზიკური თვისებების ცვალებადობის მიზეზი ხდება და პიდროვეკოლოგის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არსებული ყველა ფილტრაციული ხარჯის საანგარიშო დამოკიდებულება, კერძოდ არხებში, კაშხლებიდან, ზღუდარებიდან, პიდროტექნიკურ ნაგებობების ფუძეებიდან უპირატესად ფილტრაციის ხაზოვან კანონს ემყარება. არსებული წარმოდგენებით ანომალიური ფილტრაცია ემყარება პოსტულატს, რომლის მიხედვით სითხეს თავისუფალ მოცულობაში გააჩნია წინააღმდეგობა ძვრის დეფორმაციის მიმართ საწყისი გრადიენტის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიღებულია:

- ფილტრაციის კოეფიციენტის საანგარიშო დამოკიდებულება, როცა ტრანზიტული ნაკადის სიჩქარე ფილტრაციული ნაკადის სიჩქარის ტოლია;
- ხარისხობრივი ფუნქციის გამოყენებით მიღებულია ფილტრაციული ნაკადის საშუალო და მაქსიმალური სიჩქარეთა საანგარიშო დამოკიდებულებები;
- სითხის უწყვეტობის პირობის გათვალისწინებით, მიღებულია კაპილარულ მილში საშუალო სიჩქარის საანგარიშო დამოკიდებულება.

#### 2. УСТАНОВЛЕНИЕ ГИДРАВЛИЧЕСКИХ ПАРАМЕТРОВ СЕЛЕВЫХ РУСЕЛ

დვარცოფსადინარებში ნაკადისა და კალაპოტის ურთიერთმოქმედება არსებითად განსხვავდება წყალსადინარებში მიმდინარე ანალოგიური პროცესებისგან. აქედან გამომდინარე, დვარცოფსადინარის მორფომეტრიასა და დვარცოფის პიდრავლიკურ პარამეტრებს შორის ურთიერთდამოკიდებულება დიამეტრალურად განსხვავებული სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მსგავს გეოტექნიკურ დვარცოფსადინარებშიც კი, კალაპოტის კვეთები განსხვავებული ფორმებით და მორფომეტრიული პარამეტრებით არიან წარმოდგენილნი, რასაც ადასტურებს არაერთგზის ჩატარებული კვლევების მასალებიც.

მთავარი ძაბვების ფარდობიდან გამომდინარე, დვარცოფის მასაში ნებისმიერად აღებულ

წერტილში, რეოლოგიური მახასიათებლებიდან გამომდინარე, მიღებულია განივი დეფორმაციის გრძივთან ფარდობის კოეფიციენტის სანგარიშო დამოკიდებულება.

მიღებულია, რომ აქტიური ნაგებობებით ნაკადის რეგულირების დროს, წყლის ნაკადი მდგრადობას კარგავს, იმ შემთხვევაში, როცა ფარდობა  $\frac{\Delta E}{E} \geq 0,33$ , ე.ი ჩვენს მიერ მიღებულ დამოკიდებულებითა და ჩატარებული ექსპერიმენტული პლატფორმის შედეგებს შორის განსხვავება არ აღემატება 10%-ს.

#### IV. სხვა აქტივობები:

##### უცხოური გრანტები:

1. პროფ. ირმა ინაშვილი- 2016-დღემდე პროექტის კოორდინატორი. პროექტის ძირითადი შემსრულებლები: პროფ. ალექსანდრე დავითაშვილი, პროფ. ირაკლი ყრუაშვილი, პროფ. კონსტანტინე ბზიავა, აკად.დოქტორი ირინა კლიმიაშვილი. ავსტრიის სააგენტო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის განათლებასა და კვლევაში (**OeAD-GmbH**), საერთაშორისო საგრანტო პროექტი № 135 „აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობების გაზრდისათვის გარემოსდაცვით სწავლებაში“.

([http://www.appear.at/appear\\_infos/project\\_portfolio/academic\\_partnerships/acces\\_project135/](http://www.appear.at/appear_infos/project_portfolio/academic_partnerships/acces_project135/))

2. პროფ. ირმა ინაშვილი 2015 – 2016 პროექტის კოორდინატორი. პროექტი სძირითადი შემსრულებლები: პროფ. ალექსანდრე დავითაშვილი, პროფ. ირაკლი ყრუაშვილი, პროფ კონსტანტინე ბზიავა, აკად.დოქტორი ირინა კლიმიაშვილი. ავსტრიის სააგენტო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის განათლებასა და კვლევაში (**OeAD-GmbH**), საერთაშორისო საგრანტო პფროექტი „Prep 136 – აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობების გაზრდისათვის გარემოსდაცვით სწავლებაში“.

([http://www.appear.at/appear\\_infos/project\\_portfolio/preparatory\\_fundings/completed\\_prep\\_fundings/](http://www.appear.at/appear_infos/project_portfolio/preparatory_fundings/completed_prep_fundings/))

#### ნაცვლიშვილთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად შესრულდა სამუშაოები:

- 1.გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი “საქართველოს ფორმალურ/არაფორმალურ პროფესიული განათლების სისტემასა და შრომის ბაზრის საჭიროებებს შორის კავშირების გაღრმავება ცხოვრების მანძილზე სწავლების კონტექსტში”. პროექტი ფინანსდებოდა ევროკავშირის მიერ. 2015 წლის ნოემბერი - 2016 წლის ივნისი. ნ.ნაცვლიშვილი - უფროსი ექსპერტი.

2.ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის ბაზაზე არსებული პროფესიული სასწავლებლის ზენიკალ-სანტექნიკოსის პროგრამის შემუშავება და თეორიული ნაწილის ტრეინინგი. 2016 წლის 6 ივნისი - 15 ივნისი.

3.სსიპ პროფესიული კოლეჯი “ლაკადა”. სატრეინინგო მომსახურეობები, კერძოდ გაეროს განვითარების პროგრამის პედაგოგთა გადამზადება 5 დღის განმავლობაში “მიღება-განთავსების სპეციალისტის” პროფესიაში. 2016 წლის 30 მაისი – 5 ივნისი.

4.შპს “ვიმ-ბილ-დან საქართველო”-ს ელექტრომაგნიტური მრიცხველის ფუნქციონირების შესწავლა და საექსპერტო დასკვნის შემუშავება. 2016 წლის 12 ოქტომბერი - 8 ნოემბერი. ექსპერტი.

## მშენებლობის პომაზულების დაპროექტების დეპარტამენტი №106

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: **პროფესორი მურმან კუბლაშვილი**

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფ. მურმან კუბლაშვილი, პროფ. ბადრი გვასალია, პროფ. ვახტანგ ჭანკოტაძე, ასოც. პროფ. ელისონ აბრამიძე, ასოც. პროფ. ზაზა სანიკიძე, ასოც. პროფ. კონსტანტინე ჩხითაძე, ასისტ. პროფ. თამარ კვაჭაძე, ასისტ. პროფ. თინათინ მაღრაძე, უფ. მასწ. ზ. ქაპანაძე, უფ. მასწ. მარიამ ყავრელიშვილი, უფ. მასწ. ნინო ფილფანი, უფ. მასწ. ზურაბ ისააკიანი, ინჟინერ-პროგრამისტი (დოქტორანტი) მირიან კუბლაშვილი.

### II. 1. პუბლიკაციები:

#### ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	--------------------------------	-----------------------------------	------------------------

1	ბადრი გვასალია, თამარ კვაჭაძე,	სამშენებლო კონსტრუქციების ოპტიმიზაციის მეთოდები	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, ქოსტავას 77	171
2	ნინო ფილიანი, მარიამ ყავრელიშვილი, თინათინ მაღრაძე	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი	განათლების სარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2016	345
3	ირაკლი სულაძე, ზურაბ ისააკიანი, ვახტანგ ჩხეიძე	ალგორითმების პაკეტი წინასწარდასახული ქიმიურ-მენერალოგიური შედგენილობის მქონე კლინიკერების მისაღები ნედლეულთა ნარევების გაანგარიშებისათვის	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, ქოსტავას 77	42

**ანოტაციები ქართულ ენაზე**

- დამსარე სახელმძღვანელოში განხილულია მართკუთხა შედგენილი ორტესებრი, უბან-უბან მუდმივი განივი კვეთის მქონე კოჭების, სტრუქტურული კონსტრუქციის თაღის და სივრცითი ჩარჩოს დაპროექტების ამოცანების ლაბორატორიული სამუშაოები.
- სახელმძღვანელოში „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი“ განხილულია კომპიუტერული გრაფიკის პროგრამა AutoCAD-სა და 3DsMax, როგორც სიბრტყეში, ასევე სამგანზომილებიან სივრცეში მუშაობისათვის აუცილებელი ბრძანებები და მათი გამოყენების მეთოდები, აგრეთვე საინჟინრო გრაფიკისა და სამანქანათმშენებლო ხაზების ძირითადი საკითხები.
- მეთოდურ მითითებაში მოყვანილია წინასწარ დასახული ქიმიურ-მენერალოგიური შედგენილობის მქონე კლინიკერის მისაღებ ნედლეულთა 2, 3 და 4 კომპონენტიანი ნარევების გაანგარიშებისათვის საჭირო ალგორითმების პაკეტი. ალგორითმებში გათვალისწინებულია კლინიკერის გამოწვის პროცესში გამოყენებული სათბობის სახეობის გავლენა გაანგარიშების მსვლელობაზე. ისინი არსებითად აუმჯობესებენ და აადგილებენ გაანგარიშების პროცედურას, ამასთან უფრო ხელმისაწვდომი და სწრაფი ხდება გაანგარიშების შედეგების შეტანა უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესში.

### სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, შურნალის/კრებულის დასახელება	ქურნალის/ კრებულის	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გერდების რაოდენობა
---	---------------------	---	-----------------------	--------------------------------------	-----------------------

			ნომერი		
1	მარლენ მჭედლიშვილი, ზურაბ ისააკიანი	ზოგიერთი ცვლილება გოგირდის დიოქსიდის დაჟანგვის რეაქციის წონასწორობის მუდმივას და წონასწორული გარდაქმნის ხარისხის ამოთვლაში	სტუ შრომების კრებული №2	სტუ-ს გამომცემლობა, თბილისი	6
<b>ანობაციები ქართულ ენაზე</b>					
<p>1. სტატიაში დაზუსტებულია ლიტერატურულ წყაროებში მოცემული ფორმულა, რომელიც ისახავს გოგირდის დიოქსიდის ტრიოქსიდად დაჟანგვის რეაქციის წონასწორობის მუდმივას დამოკიდებულებას ტემპერატურაზე. მათემატიკური გარდაქმნების გზით მოდიფიცირებულია დიოქსიდის ტრიოქსიდად წონასწორული (თეორიული) გარდაქმნის ხარისხის გამოსათვლელი ფორმულა. საინჟინრო-ქიმიური მიმართულების სტუდენტის მიერ გოგირდმჟავას წარმოებაში გოგირდის დიოქსიდის ტრიოქსიდად დაჟანგვის პროცესის შესწავლისას დროის არსებითად დაზოგვის მიზნით შექმნილია კომპიუტერული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს წონასწორობის მუდმივას და წონასწორული გარდაქმნის ხარისხის კომპიუტერულ გამოთვლას.</p>					

## II. 2. პუბლიკაციები:

### ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, შურნალის/კრებუ- ლის დასახელება	შურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Sh. Tserodzae, J.	Transformable	Vol. 8. Issue 4,	An official Journal of	10

	Santiago Prowald, V. Gogilashvili, K. Chkhikvadze	reflector structure with V-folding rods. CEAS Space Journal	December 2016	the Council of European Aerospace Societies	
ანობაციები ქართულ ენაზე					
<p>1. წარმოდგენილია სივრცული გასაშლელი რეფლექტორის ახალი დიზაინი. კერძოდ, განიხილება შეკრული ჯაჭვისებრი სისტემა ცენტრალური ქსელით, რომელიც ტრანსფორმაციის შედეგად იღებს კონუსურ ფორმას. კონუსური ფორმის მისაღწევად შესაბამისი სისტემის კონსტრუქციული ნაწილები ასრულებს ერთდროულად მოძრაობას რადიალური და დერძული მიმართულებით. წარმოდგენილი სისტემა არ საჭიროებს ზედა და ქვედა სექციების ერთმანეთთან დაკავშირებას, სინქრონიზაციას.</p> <p>რეფლექტორის კინემატიკის და კონსტრუქციის თვისებების შესასწავლად შექმნილია ორი მათემატიკური მოდელი პროგრამული კომპლექსი "ANSYS" – გის "Ansys Parametric Design Language" ენის საშუალებით. გაანგარიშებები ჩატარებულია სხვადასხვა ტიპის დატვირთვებისთვის, მიღებული შედეგები გაანალიზებულია და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.</p>					

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

№	მომსენებელი/ მომსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მირიან ჯუბლაშვილი	სამშენებლო მექანიკის ერთი საკონტაქტო ამოცანის რიცხვითი ამოხსნის ალგორითმის დამუშავება სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდის გამოყენებით	სტუ, თბილისი, 2016 წ.

მოხსენებათა ანობაციები ქართულ ენაზე

- განხილულია ერთმანეთში ჩადგმული, თითქმის ტოლი რადიუსების მქონე ორი

წრიული დრეკადი ცილინდრის ურთიერთქმედების ამოცანა იმ შემთხვევისთვის, როცა კონტაქტში მონაწილე სხეულებს გააჩნიათ რდგვევის გავრცელების მიღამოები. აღნიშნული სახის საკონტაქტო ამოცანამდე მივყავართ ბზარების მქონე მნიშვნელოვანი საინჟინრო დეტალის, სრიალის საკისარის დეფორმაციის მათემატიკურ მოდელირებას.

აგებულია განხილული ამოცანის შესაბამის ინტეგრალურ განტოლებათა რიცხვითი ამოხსნის ახალი სქემები. კერძოდ, ბზარების გასწვრივ მოქმედი დატვირთვების შესაბამისი სინგულარული ინტეგრალური განტოლებებისათვის აგებულია უშუალოდ სინგულარული ოპერატორის აპროქსიმაციაზე დაფუძნებული სქემები, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს მათი რიცხვითი რეალიზაციის პროცესს. მარტივად რეალიზებადი სქემები აგებულია ასევე უშუალოდ კონტაქტის არეში მოქმედი დატვირთვების შესაბამისი ინტეგრალური განტოლებისათვისაც საკონტაქტო სხეულების სხვადასხვა დრეკადი მახასიათებლების შემთხვევაში.

### ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Кублашвили М. Д., Чанкотадзе В. В., Квачадзе Т. Д.	О некоторых вопросах точности квадратурных формул для сингулярных интегралов	Г. Харьков, Украина, 15 февраля 2016 г.
2	O. Ugulava, D. Zarnadze, M. Kublashvili, V. Kvaratckhelia	On Calculation of the Multidimensional Harmonic Oscillator on Schwartz Space	Tbilisi, Georgia, 3-7 October, 2016
3	M. Kublashvili, M. Zakradze, N. Koblishvili, Z. Sanikidze	On Solving the Dirichlet Generalized Problem for a Harmonuc Function in the Case of an Infinite Plane with a Crack- Type Cut	Tbilisi, Georgia, 3-7 October, 2016
4	J. Sanikidze, M. Kublashvili	On Construction and Application of some Quadrature Formulas of High Accuracy for Cauchy Type Singular Integrals	Tbilisi, Georgia, 3-7 October, 2016

5	Edison Abramidze	A Numerical Analysis of Non-Linear Deformed Multilayered Ellipsoidal Shells	Batumi, Georgia, September 5-9, 2016
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			
<p>1. კოშის გულიანი ინტეგრალებისათვის იგება მომატებული სიზუსტის კვადრატურული ფორმულები.</p> <p>2. შრედინგერის ტიპის ერთგვაროვანი განტოლებისათვის აგებულია მაღალი რიგის სიზუსტის რიცხვითი ამოხსნის ალგორითმი. დაწერილია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამა <b>Matematica</b> – სიმბოლურ ენაზე.</p> <p>3. განიხილება დირიხლეს განზოგადოებული ამოცანა, როცა სასაზღვრო ფუნქციას შეიძლება პქონდეს წყვეტები. ასეთი ამოხსნებისათვის აგებულია რიცხვითი ამოხსნის ალგორითმები. დაწერილია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამები. ჩატარებულია რიცხვითი ამოხსნის ექსპერიმენტები ტესტური ამოცანებისათვის.</p> <p>4. კოშის გულიანი სინგულარული ინტეგრალებისათვის აგებულია გაუსის ტიპის სიზუსტის კვადრატურული ფორმულები. დაწერილია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამები <b>Matematica</b> – სიმბოლურ ენაზე. ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები.</p> <p>5. ფენოვანი ელიფსოიდური გარსების გეომეტრიულად არაწრფივი დეფორმაციის ამოცანების რიცხვითი ამოხსნისათვის მიღებულია ამ კლასის ამოცანების ამომხსნელი არაწრფივი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა. გათვალისწინებულია ფენოვანი გარსის სისქის გასწვრივ ძვრის დეფორმაციების არაერთგვაროვნება.</p>			

მშენებლობის ეკონომიკის და მიერჯონობის 107 დეპარტამენტი

## II. 1. პუბლიკაციები:

### ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, გურნალის/კრებუ-	ჟურნალის/ კრებულის	გამოცემის ადგილი,	გერდების რაოდენობა
---	---------------------	-------------------------------------	-----------------------	----------------------	-----------------------

		ლის დასახელება	ნომერი	გამომცემლობა	
1	რ. მახვილაძე, ა. ჩიქოვანი, ა. გოგბერაშვილი	Устройство фундаментов вблизи существующих сооружений	#2(41), 2016	თბილისი, სტუ, სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა”	3
2	რ. მახვილაძე, ლ. ჯოგლიძე	შენობათა შემომზღვდავ კონსტრუქციებში სითბო და ბგერაგაუმტარობის მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფის გზები და მათი სოციალურ- ეკონომიკური ეფექტურობა	#2(41), 2016	თბილისი, სტუ, სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა”	6
1. При реконструкции, при капитальном ремонте здания, при возведении новых фундаментов около существующих сооружений, возникает необходимость в оценке степени обеспечения фундаментами дальнейшей нормальной эксплуатации сооружений, а в соответствующих случаях – в усилении и переустройстве фундаментов.					
2. დამპროექტებელს საშუალება ეძლევა თანამედროვე სერთიფიცირებული თბო და ბგერასაიზოლაციო რულონტური მასალების გამოყენებით მშენებლი და დამკვეთი დაარწმუნოს მათი გამოყენების ეფექტურობაში. მცირდება საკედლე კონსტრუქციების და იატაკების ქვედა საფენი ფენების სისქე.					

**სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის და სამშენებლო  
ზაპულტეტიაზორისი საბზაო დეპარტამენტი №15**

**სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფესორი ნუგზარ რურუა**

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

მოისწრაფიშვილი ენვერ – პროფესორი (ემერიტუსი)

მოისწრაფიშვილი მანანა – პროფესორი  
 ბურდულაძე ალექსი – პროფესორი  
 ნადირაშვილი პეტრე – პროფესორი  
 მექანარიშვილი თეიმურაზი – პროფესორი  
 ირემაშვილი ხვიჩა – ასოცირებული პროფესორი  
 დათუკიშვილი გივი – ასოცირებული პროფესორი  
 კობახიძე კახაბერ – ასოცირებული პროფესორი  
 რურუა ნუგზარ – პროფესორი  
 ჭურაძე თამაზი – პროფესორი (ემერიტუსი)  
 მჭედლიშვილი კონსტანტინე – პროფესორი  
 აუპატაძე თორნიკე – ასოცირებული პროფესორი  
 კვანტალიანი გულივერ – ასოცირებული პროფესორი  
 გრძელიშვილი მარინე – ასოცირებული პროფესორი  
 მაისურაძე ბორის – ასოცირებული პროფესორი  
 პაბუაშვილი თენგიზი – ასოცირებული პროფესორი  
 შიშინაშვილი მანუჩარი – ასისტენტ პროფესორი

### პროექტი

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მთიან რაიონებში განლაგებულ პიდროვების დამუშავების კატასტროფული ზემოქმედების პროგნოზი	სტუ	გ.ჯინჯიხაშვილი ხ.ირემაშვილი(თანახელმძღვანელი)	გ.ბერძენაშვილი თ.სტეფანია გ.არონია

	<p>და პრევენცია.</p> <p>პიდრავლიკა და საიუნინო პიდროლოგია; მათემატიკური მოდელირება</p> <p>და სისტემების იდენტიფიკაცია, გარემოს დაცვის ტექნოლოგიები.</p>			
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p>				
<p>1. ანალიზური და გრაფიკული დამოკიდებულებები, რომელთა საშუალებით ოპერატორულად განისაზღვრება არათანაბარი მოძრაობის დგარცოფული ნაკადი კალ-აპოტის შევიწროვებისა დაგაგანიერების უბნებზე.</p> <p>2. გრაფიკული დამოკიდებულებები დგარცოფის კინემატიკურ და დინამიკურ პარამეტრებზე მისი სატურაციისა და სტრატიფიკაციის ხარისხის გაფლენის შესაფასებლად.</p> <p>3. გათვლის მეთოდიკა, გათვლის მაგალითები.</p>				

## II. 1. პუბლიკაციები:

### ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	აგზორი/ავგზორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	6.რუსეთი	სარკინიგზო მტკუნების შესწავლა, ანალიზი და ექსპერტიზა	თბილისი, სტუ. 2016 წ.	394
2	კ.მჭედლიშვილი, ა.ბურდულაძე	საავტომობილო გზების დაპროეტების საფუძვლები	თბილისი, სტუ. 2016 წ.	255
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

1. სახელმძღვანელოში „სარკინიგზო მტკუნების შესწავლა, ანალიზი და ექსპერტიზა”განხილულია რელსებიდან მოძრავი შემადგენლობის თვლების ჩამოსვლის მიზეზები და მექანიზმი, კერძოდ: მატარებელში გრძივი მკუმშავი ძალების ზრდის მიზეზი; ურიკის თვლების გვერდითი ზემოქმედება რელსებზე განპირობებული მატარებლის კვაზისტატიკური შეკუმშვით დამუხრუჭების დროს; თვლების რელსებიდან ჩამოსვლის სახეები და მექანიზმი; მრუდებში რელსებიდან თვლების ჩამოსვლა გარე რელსის ჭარბი შემადლების გამო; მატარებლების ლიანდაგში ჩაგარდნის მიზეზების გამოძიების სამი ძირითადი წესი; თვლების რელსებიდან ჩამოსვლის თავიდან აცილების დონისძიებები; სალიანდაგო მიზეზებით თვლების რელსებიდან ჩამოსვლის თავიდან აცილების ტექნიკური და ტექნოლოგიური დონისძიებები; ლიანდაგის გაანგარიშების მეთოდიკა და შედეგები თვლის ქიმების წრიული სრიალის დროს რელსის თავის გვერდით წახნაგზე და თვლების გრძივი სრიალის დროს რელსებზე მრუდებში; მიჯახების კუთხის გავლენა რელსების გვერდითი ცვეთაზე და მისი ფაქტიური მნიშვნელობების ანალიზი; მრუდებში შიდა ძაფიდან გარე ძაფზე რელ ების ცვეთის გადანაწილების ანალიზი; გარე რელსის შემადლების ოპტიმალური მნიშვნელობების დადგენა მცირერადიუსიან და შედგენილ მრუდებში; თვლის ქიმებისა და რელსების ცვეთის ინტენსივობის შემცირების პრაქტიკული რეკომენდაციები. დასაბუთებულია მატარებლის ქვეშ სარელსო ლიანდის ტემპერატურული გაგდების შეუძლებლობა. გაანალიზებულია სარკინიგზო მტკუნებები. მოტანილია პრაქტიკული რეკომენდაციები თვლების რელსებიდან ჩამოსვლის ადგილის გამოკვლევის დროს. განხილულია რკინიგზის ტრანსპორტზე მატარებლის მარცხისა და ავარიის შემთხვევის ადგილის დათვალიერების წესები, დათვალიერების თავისებურებები მატარებლების შეჯახების და მოძრავი შემადგენლობის რელსებიდან ჩამოსვლის შემთხვევაში, სასამართლო-ტექნიკური ექსპერტის ჩატარების თავისებურებები მატარებლების შეჯახების და მოძრავი შემადგენლობის რელსებიდან ჩამოსვლის მიზეზების გამოძიების დროს. მოტანილია საცნობარო და ნორმატიულ-ტექნიკური მასალები.

2. სახელმძღვანელო განკუთვნილია საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მიმართულების ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისთვის. იგი სასარგებლო იქნება აგრეთვე ამავე მიმართულებით მომუშავე დოქტორანტებისა და პრაქტიკოსი ინჟინრებისათვის.

ნაშრომი უყრდნობა საავტომობილო გზების დაპროექტებას ქართული საინჟინრო სკოლის მრავალი ათეული წლის გამოცდილებას. მხედველობაშია მიღებული აგრეთვე რუსული და დასავლეთ ევროპული სკოლების მიღწევები საავტომობილო გზების დაპროექტებაში. სახელმძღვანელოში განხილულია შემდეგი საკითხები: საავტომობილო გზების ქსელი, საავტომობილო გზის ელემენტები, ავტომობილის წევის ბალანსი, მრუდების დაპროექტება გეგმაში, მოთხოვნები გზის გრძივი და განივი პროფილის ელემენტებისადმი, ავტომობილთა ნაკადის მოძრაობის კანონზომიერებანი, ბუნებრივი ფაქტორების გავლენა გზების მუშაობაზე, საგზაო წყალსარინი მცირე ხიდებისა და მილების პიდრავლიკური ანგარიში. განხილულია აგრეთვე, ტრასის მიმართულების შერჩევის ძირითადი წესები, გრძივი პროფილის დაპროექტება, მოძრაობის უსაფრთხოებისა და ბუნების დაცვის მოთხოვნების გათვალისწინება გზების დაპროექტებისას.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, შერნალის/კრებულის დასახელება	შერნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ.გეგლესიანი ხ.ირემაშვილი გ.ბერძენაშვილი გ.ნადარაძა	სამთო დრმა წყალსაცა- ვში წაყლსაშვი ფარებით გადადინების ნაკადის მართვის მეთოდიკა მცი- რეამპლიტუდიანი ტალ- ღების თეორიის განტო- ლებების ანალიზური ამონახსნის გამოყენებით. შერნალი „ენერგია“	№3(79) 2016წ	კავშირი „მეცნირება და ენერგეტიკა“ ქ.თბილისი	5
2	ნ.რურუა, გ.ჯულაყიძე	რკინიაბეგორნის შპალები- ან მცირერადიუსიან მრ- უდებში ლიანდის გაგა- ნიერების მოწყობის სა- კითხები შერნალი “ტრანსპორტი და მანქანათმშენებლო- ბა”,	“ტრანსპორტი და მანქანათმშე- ნებლობა”, 2016, ISSN 1512- 3537 №1(35).– გვ.71-76.	თბილისი. “ტრანსპორტი და მანქანათმშე- ნებლობა”	6
3	ნ.რურუა, ლ.ჩხეიძე	საპირაპირო დრენაჟის მდგომარეობის ანალიზი და რგოლური ლიანდა- გის სამედოობის პროგ- ნოზირება  შერნალი “მშენებლობა”	“მშენებლობა”, თბილისი. 2016, №1(40). –გვ.71- 76.	თბილისი. “მშენებლობა”	6
4	ნ.რურუა, ლ.რუხაძე	მოსაზრებები სარკინიგ- ზო რელეების ელექტრო- კონტაქტური მეთოდით შეღუდების ინსტრუქცი- აში ცვლილებების შეტა- ნის შესახებ  შერნალი “მშენებლობა”	“მშენებლობა”, თბილისი. 2016, №1(40). –გვ.79- 81.	თბილისი. “მშენებლობა”	3
5	ნ.რურუა, ე.მოისწრაფიშვი ლი გ.ბიბილაშვილი	რკინიგზის მიწის ვაკი- სის მონიტორინგი რკი- ნიგზის ექსპლუატაციის პირობებში	“ტრანსპორტი და მანქანათმშე- ნებლობა”, 2016, ISSN 1512-	თბილისი. “ტრანსპორტი და მანქანათმშე- ნებლობა”	7

		ქურნალი “ტრანსპორტი და მანქანათმშენებლო- ბა”	3537 №2(36).- გვ.174-180.		
6	თ.პაპუაშვილი ვ.ჯლამაია მ.სულამანიძე	ბლანტი საგზაო ბიტუმე- ბის რეოლოგიური თვი- სებები  ქურნალი “მშენებლობა”	“მშენებლობა”, თბილისი. 2016, №1(40). –გვ.63- 67.	თბილისი. “მშენებლობა”	5
7.	კ.მჭედლიშვილი, უ. სტურუა	საავტომობილო სპორტი- სა და მისი ინფრასტ- რუქტურის განვითარების პერსპექტივები საქართვე- ლოში  ქურნალი “ბიზნეს-ინჯ- ინერინგი”	“ბიზნეს- ინჯინერინგი” თბილისი. 2016, №3. –გვ.63-77.	თბილისი. “ბიზნეს- ინჯინერინგი”	14
8.	გ.შიშინაშვილი	ფრეზირებული მასალის გამოყენებით დამზადე- ბული კომბინირებული ასფალტობეტონის ნა- რევის გამოყენების პერს- პექტივები საქართველო- ში, ტექნიკური სამეცნი- ერო ქურნალი “მშენებ- ლობა”	№3(38)	თბილისი, საქართველო	3
9	გ. დათუკიშვილი ბ. მაისურაძე თ. ჯაფარიძე	ევროკოდის დანერგვას- თან დაკავშირებული პრობლემები ხიდებისა და გზაგამტარების დაპროექტებისას  “ტრანსპორტი”	“ტრანსპორტი”, №1-4	თბილისი, საქართველო	2
10	გ. მოისწრაფი- შვილი ლ. ანდოულაძე	ლიანდაგის ზედნაშენის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ორგანიზე- ბა გაუთვალისწინებელ მოვლენებისა და მომეტე- ბული რისკის შემთხვე- ვაში  ქურნალი “ტრანსპორტი	“ტრანსპორტი და მანქანათმშე- ნებლობა”, 2016, ISSN 1512- 3537 №2(36).– გვ.5-13.	თბილისი, საქართველო	9

		და მანქანათმშენებლობა”,			
11	გ. მოისწრაფი- შვილი ლ. ანდოულაძე	სარკინიგზო ტრანსპორტის გარემოზე ზემოქმედების შევასების თავისებურებები  ქურნალი “მშენებლობა”	“მშენებლობა”, თბილისი. 2016, №1(40). –გვ.25-31	თბილისი, საქართველო	7
12	М.Грдзелишвили	Перспективы развития ме- ждународных транспорт- ных коридоров Е-60 и Е-70  в Грузии  „Транспорт,,	, „Транспорт,,,- (1-4) 2016	Г.Тбилиси ГТУ	4
13	М.Грдзелишвили К.Чурадзе	Анализ интенсивности коррозионного разрушения бетонных обделок в агрессивной сульфатной среде  „Транспорт,,	, „Транспорт,,,- (1-4) 2016	Г.Тбилиси ГТУ	7
14	ბ.წელიშვილი, ბ.გრძელიშვილი გ.ზურაბიანი	მეტროპოლიტენის დიდი ჩაღრმავების ერთოადა- ნი საღგურები	“მშენებლობა” №3(38)2016	ქ.თბილისი სტუ	5
15	ბ.გრძელიშვილი, ი.არჯევანიძე	ნაშეფბეტონის გამოყენ- ება გვირაბმშენებლობა- ში  ქურნალი “მშენებლობა”	“მშენებლობა” №3(42)2016	ქ.თბილისი სტუ	4
16	კ. მჭედლიშვილი თ. ურაშვილი	გარემოს დაბინძურება როგორც ავტომობილი- ზაციის უარყოფითი შე- დეგი და მასთან ბრძო- ლის დონისძიებები  ქურნალი “ტრანსპორტი”	“ტრანსპორტი” № 1-4	ქ.თბილისი სტუ	6
17	კ. მჭედლიშვილი თ. ურაშვილი	სატრანსპორტო პროცეს- ში განვითარებული მოვ- ლენათა პროგნოზირების მეთოდები და საშუალე- ბები  ქურნალი “ტრანსპორტი”	“ტრანსპორტი” № 1-4	ქ.თბილისი სტუ	8

18	ქ. მჭედლიშვილი თ. ურაშვილი	ავტომობილიზაცია და საგზაო ინფრასტრუქტუ- რის განვითარება ეროვ- ნული ეკონომიკის წარ- მატების საფუძველი  ქურნალი “ტრანსპორტი”	“ტრანსპორტი” № 1-4	ქ.თბილისი სტუ	5
19	ნ.რუა, კ.მჭედლიშვილი, ზ.გაბედავა	სატრანსპორტო ინფრა- სტრუქტურის განვითარე- ბის ზოგიერთიპერსპექ- ტივები  ქურნალი “მშენებლობა”	“მშენებლობა”, თბილისი. 2016, №4(43).	თბილისი. “მშენებლობა”	5
20	ნ.რუა, კ.მჭედლიშვილი, ზ.გაბედავა	საქართველოს ავტოსაგ- ზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ამოცანები ქურნალი “მშენებლობა”	“მშენებლობა”, თბილისი. 2016, №4(43).	თბილისი. “მშენებლობა”	12
21	თ. პაპუაშვილი, გ. ჯლამააძე, მ. სულამანიძე	რეზინობიტუმებისა და პოლიმერბიტუმების რეოლოგიური თვისებები	“მშენებლობა”, თბილისი. 2016, №3(42).	თბილისი. “მშენებლობა”	7

### ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. მცირეამპლიტუდიანი ტალღების თეორიის ვერტიკალურად ბრტყელი ორგანზომილებიანი (2 ) არასტაციონარული განტოლებების გამოყენებით დამუშავებულია კაშხალზე გადადინების და წყალსაშვი ფარებიდან ნაკადის გადინებით ექსტრემალური ტალღის სიმაღლის რეგულირების მათემატიკური მოდელი, სეისმოტექნიკური ან დვარცოფულ/მეწყრული პროცესით წარმოშობილი ცუნამის ტიპის გრძელი ტალღების დროს. მიღებულია ანალიზური ამონასსნი იტერაციული პროცესის გარეშე, დროში წინმსწრები გამოთვლების თანამიმდევრული შეჯამების მეთოდით.
2. სტატიაში განხილულია რკინაბეტონის შპალებიან მცირერადიუსიან მრუდებში ლიანდის გაგანიერების მოწყობის საკითხები. გაანალიზებულია არსებული რკინაბეტონის შპალების მცირერადიუსიან მრუდებში მუშაობის კონსტრუქციული ხარჯები. შემოთავაზებულია საქართველოს რკინიგზაზე გამოსაყენებელი რკინაბეტონის შპალების კონსტრუქცია, რომელშიც ლიანდის გაგანიერების უზრუნველყოფა სწორი უძნიდან მრუდში გადასვლისას უნდა მოხდეს ბიჯით საფეხურებად ან თანდათანობით სხვადასხვა ტიპის სამაგრების სისტემების - Vossloh, Pandrol და SB-3 გამოყენებით. გაგანიერება ხორციელდება კუთხეური თამასების ან გვერდითი იზოლატორების საშუალებით 2-2,5 მმ-ის ჯერადი ბიჯებით. შემოთავაზებულიააგრეთვე სარელსო ლიანდის გაგანიერების სხვადასხვა ვარიანტები დამოკიდებული მისი მატების სიდიდეზე და ლიანდაგის ლერძის მიმართ განლაგებაზედადგენილია მანძილი გადასასვლელი მრუდის საწყისიდან იმ წერტილამდე, რომლის შემდეგ ახდენენ ლიანდის გაგანიერებას მრუდის რადიუსზე და გადასასვლელი მრუდის სიგრძეზე დამოკიდებულება.

ბით.

3. სტატიაში განხილულია საპირაპირო დრეჩოების მდგომარეობის ანალიზი და რგოლური ლიანდაგის სამედოობის პროგნოზირების საკითხები. გაანალიზებულია საპირაპირო დრეჩოების მოწყობის და მოვლა-შენახვის არსებული ნორმატული დოკუმენტები, რომლებიც სრულად ვერ პასუხობდნენ 25 მეტრიანი რელსების ექს-ალუატაციის მოთხოვნებს ურთიერთსაწინააღმდეგო რეკომენდაციების შემცველობის გამო. შემოთავაზებულია საპირაპირო დრეჩოების მნიშვნელობების დაჯგუფების ხერხი ინტერვალური სტატისტიკური რიგის დახმარებით. განსაზღვრულია პიკეტურ ტემპერატურთა ფაქტიური მკუმშავი ვარდნის მნიშვნელობები. წარმოდგენილი საპირაპირო დრეჩოების გახსნის გრაფიკის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დასკვნებისა და რეკომენდაციების გაცემა რგოლური ლიანდაგის მუშაობის საიმედოობაზე მინიმალური საანგარიშო ტემპერატურის დაგომის მომენტი, საპირაპირო დრეჩოების გარეაგის ან რეგულირების გადაუდებელი სამუშაოების შესრულების საჭიროების შესახებ.
4. სტატიაში განხილულია მოსაზრებები სარკინიგზო რელსების ელექტროკონტაქტური მეთოდით შედევების ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის შესახებ. შემოთავაზებულია მოძრავი რელსშემდევებელი მანქანით რელსების შედევებისას შენადევი პირაპირების ნიშანდების წესი, ასევე შენადევი პირაპირის საკონტროლო ნიმუშის სტატიკურ განივ დუნგაზე გამოცდის სქემა, დატვირთვის მოდებით რელსის თავზე და ფუძეზე.
5. სტატიაში განხილულია მიწის ვაკისის გეოტექნიკური სისტემა (მვ გტს), როგორც რკინიგზის ლიანდაგის ბუნებრივ-ტექნიკური სისტემის ქვესისტემა (რკლ ბტს), რომელიც ურთიერთქმედებს სხვა ქვესისტემებთან და ასრულებს რა რკინიგზის ლიანდაგის კონსტრუქციის ფუნდამენტის ფუნქციას, უზრუნველყოფს სივრცეში ლიანდაგის ზედა ნაშენის განლაგების სტაბილურობას ექსპლუატაციის მთელი ვადის განმავლობაში. გაანალიზებულია მიწის ვაკისის და რკინიგზის ლიანდაგის ზედა ნაშენის ქვესისტემებს შორის გამყოფი საზღვრის გადაადგილების (ქანობის) უთანაბრობის დასაშვები მნიშვნელობები გრძივი და განივი მიმართულებით. დადგენილია რკინიგზის მიწის ვაკისის გეოტექნიკური სისტემის სქემის საფუძველზე “რკინიგზის” ზესისტემის გავლენა სამატარებლო დატვირთვის სახით.
6. დეტალურად არის მოცემული სხვადასხვა სახის ბიტუმების რეოლოგიური თვისებებისადმი წაყენებული მოთხოვნები, რათა უფრო ობიექტური წარმოდგენა ვიქონიოთ ბიტუმის ე.წ. “ქცევაზე” ასფალტბეტონის შემადგენლობაში. ასალი სტანდარტის პროექტში ყურადღება გამახვილებულია დინამიკურ სიბლანტეზე 60 გრადუსზე, კინემატიკურ სიბლანტეზე 135 გრადუსზე და დამველების პროგნოზზე 163 გრადუსზე.
7. თანამედროვე მსოფლიოში არსებული, სპორტის მრავალი სახეობიდან, ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და მიმზიდვებულია საავტომობილო სპორტი, რომელიც პოპულარულია ყველა ქვეყანაში. მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონისა, მონაწილეობა და მაყურებელთა ასაკისა და სქესისა, სოცი-ალური მდგომარეობისა. სტატიაში განხილულია ავტოსპორტის ინფრასტრუქტურის

განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ჩამოყალიბებულია პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული ობიექტების სია, რომელთა სათანადო მოდიფიკაციის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ავტოსპორტის ყველა სახეობის შეჯიბრებათა ჩატარება საერთაშორისო დონეზე. ეს თავის მხრივ გამოიწვევს უცხოელი სპორტსმენებისა და მათი გულშემატკივრების დიდი რაოდენობით მოზიდვას საქართველოში, რაც უაღრესად დადგებით გავლენას მოახდენს ქვეყანაში სპორტის, ტურიზმის და ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე.

8. სტატიაში განხილულია საქართველოში მოქმედი ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ძველი ასფალტბეტონის მეორადი გამოყენება, ხოლო ნაშრომში განხილული ფრეზირებული მასალის გამოყენების ახლებური ხედვა, რომლითაც შესაძლებელია მიღებულ იქნას, როგორც ეკონომიკური ასევე ეკოლოგიური ეფექტებიც.
9. სტატიაში განხილულია ეპროგავშირთან დადგებული ხელშეკრულების რეალიზაციიდან გამომდინარე საპროექტო ნორმატიული ბაზის ცვლილების საკითხი საქართველოში ხელოვნური ნაგებობების, კერძოდ ხიდებისა და მილების, დაპროექტებასთან დაკავშირებით. განხილულია როგორც დაპროექტების ნორმების, ისე მშენებლობის და ექსპლოატაციის საკითხები, არსებული ნაგებობების გადაანგარიშების აუცილებლობის და ამასთან დაკავშირებული პრობლემების სირთულე. დასახულია პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალური გზა და გაზიარებულია სხვა ქვეყნების გამოცდილება იგივე საკითხთან დაკავშირებით.
10. სტატიაში განხილულია ლიანდაგის ზედნაშენის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების საკითხი გაუთვალისწინებულ მოვლენებისა და მომეტებული რისკის ქვეშ, რომლისთვისაც დამუშავებულია მათემატიკური მოდელი და შემუშავებულია სქემა ეკოლოგიური მენეჯმენტის გათვალისწინებით. წარმოდგენილი მათემატიკური მოდელი ეყრდნობა რისკების შეფასების „დინამიურ კომპონენტურობას“, რომელიც შედგება, როგორც სარკინიგზო ობიექტზე ნებატიური სიტუაციების გავლენისგან წარმოქმნილი, ასევე საჭირო ფინანსების უგმარისობის რისკებისაგან. სტატიაში მოცემულია საავარიო სიტუაციების განვითარების შესაძლო დროისა და საინვესტიციო ფონდთან დაკავშირებული რეინიგზების განვითარებისა და მოდერნიზაციის სამუშაოების დროის მოდელირება. აგრეთვე, წარმოდგენილია სქემები ლიანდაგის ზედნაშენის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების ტიპური და ეკოლოგიური მენეჯმენტის ჩართვით, რაც გვაძლევს იმის დასკვნის საფუძველს, რომ სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მფლობელ ორგანიზაციებში უნდა მუშაობდეს ეკოლოგიური მენეჯმენტი, რომლისთვისაც გამოყოფილი უნდა იქნას ფინანსები, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს რისკების შემცირებას. სტატიაში განხილულია სარკინიგზო ტრანსპორტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების თავისებურებები დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის სტადიაზე. გაანალიზებულია თითოეულ სტადიაზე სარკინიგზო ინდუსტრიისგან მხრივ გარემოზე ზემოქმედების წყაროები და მოსალოდნელი სიდიდე.
11. სტატიაში წარმოდგენილია გარემოზე ზემოქმედების სიდიდის სქემატური გამოსახულება რკინიგზების დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის სტადიებზე მათი ნორმალური ფუნქციონირებისას და ტექნოგენური ავარიების ზემოქმედებას ლიანდაგის ელემენტების მტკუნებისას. შემოთავაზებულია რკინიგზების მხრივ

გარემოზე ანთროპოგენულ საზღვრებში ზემოქმედების ფარგლებში დარჩენისთვის საჭირო დონისძიებათა მიმოხილვა. დასახულია სარკინიგზო ტრანსპორტის ეფექტურ ფუნქციონირებასთან ერთად ტექნოგენური კატასტროფების თავიდან აცილებისთვის შემდგომი კვლევის მიმართულება.

12. საზღვარგარეთის გამოცდილების გაზიარებით განხილულია საქართველოს საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორების E-60 და E-70 განვითარების პერსპექტივები. დასაბუთებულია საგვირაბო-ესტაკადური გარიანტების გამოყენების და ზოგიერთი ტექნიკური გადაწყვეტის პერსპექტიულობა.
13. სტატიაში მოცემულია ფაქტორების ანალიზი, რომლებიც მოქმედებენ ბეტონის კოროზიაზე ქ.თბილისის მეტროპოლიტენის პირობებში. დადგენილია სულფატური კოროზის დამოკიდებულება წყლის სეზონზე და სულფატიონების შემცველობის გავლენა კორელაციურ დამოკიდებულებაზე ბეტონის სიმტკიცესა და სამაგრის სისქეში გასული წყლის რაოდენობაზე.
14. სტატიაში აღნიშნულია, რომ ქ.თბილისის მეტროპოლიტენის ახალი რიგის მშენებლობაზე მრავალი სიახლე და მოწინავე კონსტრუქციული ტექნოლოგიური გადაწყვეტა იქნება რეალიზებული. გადმოცემულია სისტემური ხედვა გვირაბმშენებლობაში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე.
15. გვირაბმშენებლობაში ახალავსტრიული ხერხის გამოყენებისას დიდი როლი აქვს დათმობილი ნაშეფბეტონს. სწორედ ამ ხერხის დანერგვამ გამოავლინა ნაშეფბეტონისა და ანკერების გამოყენებით აგებული ეკონომიური დამყოლი სამაგრების უპირატესობანი.
16. სტატიაში წარმოდგენილია ავტომობილიზაციის ორი უმნიშვნელოვანესი უარყოფითი შედეგი: გარემოს დაბინძურება ტოქსიკური ნივთიერებებით ავტომობილთა გამონაბოლქვის ემისიის შედეგად და ავტომობილთა ნაკადების მოძრაობისაგან გამოწვეული სმაური, მოცემულია ამ უარყოფითი ფაქტორების გამომწვევი კონკრეტული მიზეზები, მათი ნებატიური ზეგავლენა მოძრაობის მონაწილეობა და გზისპირა სივრცეში მცხოვრებთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ნაჩვენებია არსებული მდგომარეობის გამოსწორებისათვის ჩასატარებელი ღონისძიებები, ხაზგასმულია თანამედროვე, ნორმატიულ-ტექნიკური ბაზისა და საკანონმდებლო მასალების შემუშავების აუცილებლობა, განსაკუთრებით ნორმატივებში მოცემული ტექნიკური პარამეტრების კონკრეტული სიდიდეების თანდათანობით, ეტაპობრივი მიახლოების აუცილებლობა მოწინავე ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან.
17. სტატიაში მოცემულია საავტომობილო ტრანსპორტზე მიმდინარე პროცესების პროგნოზირების მეთოდები და საშუალებები. კერძოდ, განხილულია პროგნოზირების ძირითადი მიმართულებები: ექსპერტების ანკეტირება, საძიებო და ფაქტორული პროგნოზირება. ჩამოყალიბებულია საპროგნოზო მოდელების შექმნის აუცილებელი წინაპირობები და მათემატიკური ფუნქციების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები. განხილულია ერთგანზომილებიანი და მრავალფაქტორიანი მოდელების აგების თავისებურებანი, ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები პროგნოზირებისათვის საწყისი მონაცემების შერჩევის, პროგნოზირების პერიოდისა და სიზუსტის შესახებ.

18. სტატიაში წარმოდგენილია ეროვნული ეკონომიკის უმნიშვნელოგანესი დარგის ტრანსპორტის ძირითადი შემადგენელი ნაწილის საავტომობილო პარკისა და ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურის უდიდესი მნიშვნელოვა ქვეყნის წარმატებული განვითარებისათვის. სტატიაში მოწინავე ქვეყნების მაგალითზე ნაჩვენებია, რომ მათი ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო ავტომობილზაციისა და ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურის ერთობლივი, სინქრონული განვითარება. ნაჩვენებია აგრეთვე რა უარყოფითი შედეგების მოტანა შეუძლია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპების ჩამორჩენას ავტოპარკის ზრდის ტემპებისაგან. სტატიაში განხილულია საქართველოს ავტოპარკისა და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების უახლოესი ამოცანები და ადგილობრივი ეკონომიკური რესურსების სრული გამოყენების აუცილებლობა საგარეო კრედიტების გამოყენებაზე ორიენტაციის მაგიერ.
19. სტატიაში განხილულია სატრანსპორტო სისტემების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის საავტომობილო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივა. ნაჩვენებია, რომ ავტომობილი მიუხედავად მრავალი პრინციპული ხასიათის კონსტრუქციული ცვლილებებისა კვლავ დარჩება ძირითად სატრანსპორტო საშუალებად და შესაბამისად საავტომობილო გზების ქსელი იქნება მგზავრებისა და ტვირთების გადაადგილების აუცილებელი საშუალება. სტატიაში ნაჩვენებია აგრეთვე ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურის დაპროექტების პროცესის განვითარების ძირითადი მიმართულებები.
20. სტატიაში განხილულია საქართველოს საერთაშორისო დანიშნულების ავტომაგისტრალების, აგრეთვე შიდასახელმწიფოებრივი დანიშნულებისა და ადგილობრივი გზების ქსელის განვითარების საკითხები. ხაზგასმულია, რომ საგზაო ქსელის განვითარების უპირველესი ამოცანაა საქართველოს მაღალმომარტინი რაიონების ქვეყნის დანარჩენ ნაწილებთან შეუფერხებელი მიმოსვლის უზრუნველყოფა დიდი სიღრმისა და სიგრძის გვირაბებით. აღნიშნულია განსაკუთრებით მაღალი ინტენტივობის მქონე მონაკვეთების რეკონსტრუქციის აუცილებლობა საავტომობილო მაგისტრალებად. აგრეთვე ამჟამად მშენებარე ავტომაგისტრალებთან ერთად იგივე დანიშნულების ავტომაგისტრალის აშენების აუცილებლობა სამცხე-ჯავახეთის გავლით. ნაჩვენებია მაღალმომარტინი პირობებში, რიგ შემთხვევებში, ვიწროლიანდიანი რკინიგზების გამოყენების მეტი მიზანშეწონილობა საავტომობილო გზებთან შედარებით.
21. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ახალი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება ბიტუმმინერალური ნარევის, როგორც კომპლექსური შემკვრელის რეოლოგიური თვისებები - კერძოდ: ქვრის სიმტკიცე და მისი დამოკიდებულება ტემპერატურაზე -36ოს დან +180ოს მდე დიაპაზონში; კრობადობის უნარი; დარბილების დაწყების, დენადობისა და გამყიფების ტემპერატურა; შემკვრელის მუშაობის უნარიანობის და მისი პლასტიურობის ინტერვალი. წარმოდგენილი მეთოდი გამოყენებულია ხარისხის შედარებითი შეფასებისთვის შემდეგი პოლიმერბიტუმოვანი შემკვრელების შემთხვევაში: ПБВ-40, ალფაბიტ-60, ალფაბიტ -90 და რეზინობიტუმების შემკვრელთათვის - БИТРЭК da SRMB. ამავდროულად შესწავლილია სენებული მასალების სახესხვაობა ყინვამედეგობისა და თბომედეგობის მიხედვით, ჩატარებულია მათი რაოდენობრივი შეფასება.

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ხ.ირემაშვილი გ.ბერძენაშვილი	სამთო წყალსაცავში გადადინების მახასიათებლების გამოთვლის მეთოდიკა მცირეამპლიტუდიანი ტალღების თეორიის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნით მიღებული შედეგების მიხედვით.	VIIსაერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, „წყალთა მეურნეობის, გარემოსდაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ 22-25 სექტემბერი, 2016წ. ქ.თბილისი
2	ხ.ირემაშვილი გ.ბერძენაშვილი	სამთო ღრმა წყალსაცავში წყალუხვობის ღროს მიწის კაშხლის წარეცხვის რისკების შეფასებისა და პროგნოზირების მეთოდიკა.	VIIსაერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, „წყალთა მეურნეობის, გარემოსდაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ 22-25 სექტემბერი, 2016წ. ქ.თბილისი

მოხსენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე

- დამუშავებულია ვიწრო სამთო წყალსაცავებში ღვარცოფითა და სხვადასხვა ტიპის მეწყერით გენერირებული ექსტრემალური ტალღების შეფასების მეთოდიკა, რომელიც კაშხალზე გადადინების შედეგად საფრთხეს უქმნის წყალსატევის ნორმალურ ფუნქციონირებას და იწვევს ქვედა ბიეფში ეკოლოგიური წონსწორობის დარღვევას, მცირეამპლიტუდიანი ტალღების თეორიის ორგანზომილებიანი (2) ანალიზური ან რიცხვითი მოდელირებით მიღებული შედეგების საფუძველზე.
- განხილულია მიწის კაშხლის ქიმიური გადადინების მახასიათებლების (სიმადლისა და სიჩქარის) სწრაფი პროგნოზირებისა და წარეცხვის რისკების შეფასების მეთოდიკა ვიწრო და ღრმა სამთო წყალსატევებისათვის ნაკადის დამყარებული მოძრაობის დროს.

### III. სამეცნიერო-კვლევითი-საექსპერტო სამუშაოები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოს საავტომობილო გზებზე განლაგებული 52 ხიდისა და გზაგამტარის გამოკვლევა-გამოცდა	შპს “ინტერპროექტი”	თ. ცვარიანი	გ. დათუკიშვილი ბ. მაისურაძე კ. კობახიძე თ. ჯაფარიძე ზ. ტატიშვილი ლ. კალანდაძე ე. აგურაშვილი კ. ჭიჭილეიშვილი
2	ხიმინჯების გამოცდა მთლიანობაზე <b>Piletest</b> ხელსაწყოთი	შპს “მ კვადრატი”	თ. ცვარიანი	ბ. მაისურაძე კ. კობახიძე
3	ხიმინჯების გამოცდა მთლიანობაზე <b>Piletest</b> ხელსაწყოთი	შპს “ბლექსიგრუპი”	თ. ცვარიანი	ბ. მაისურაძე თ. ჯაფარიძე
4	სამტრედია-გრიგოლეთის ავტომაგისტრალზე მშენებარე ხიდებისა და გზაგამტარების ხიმინჯების გამოცდა სტატიკურ დატვირთვაზე	შპს “ალტკომი”	თ. ცვარიანი	კ. კობახიძე გ. დათუკიშვილი გ. ზექალაშვილი ე. აგურაშვილი
5	მთლიანობაზე <b>Piletest</b> ხელსაწყოთი	შპს “ანაგი”	თ. ცვარიანი	ბ. მაისურაძე კ. კობახიძე
6	მთლიანობაზე <b>Piletest</b> ხელსაწყოთი	შპს “ფროფერთი მენეჯმენტი”	თ. ცვარიანი	ბ. მაისურაძე თ. ჯაფარიძე
7	საექსპერტო დასკვნა ქ. თბილისში, სამგორში, დიდი ლილოში – პატარა ლილოს აეროპორტში მდებარეობის დასახელების დამფინანსებელის მიმართულების გამოცდა და გზაგამტარის გამოცდა სტატიკურ დატვირთვაზე	შპს “ამტ98”	სტუს “სარკინიგზო ინფრასტრუქტურის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი”-ხელმძღვანელი ენვერ	ნ.რურუა მ.მოისწრაფიშვილი

	რე №01.19. 15.002.017 მიწის ნაკვეთზე აშ- ენებული საზობრივი ნაგებობის (რკინი- გზის ჩიხის ლიანდა- გის) გრუნტთან უძ- რავი კაგშირის, მდგრადობაზე და სა- ექსპლუატაციოდ ვა- რგისიანობაზე (2016 წლის აპრილი).	მოისწრაფიშვილი	
8	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების 2016 წლის კონკურსზე რეგისტრირებული საპროექტო განცხა- დების შეფასება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით	რესთავების ეროვ- ნული სამეცნიერო ფონდი	ნ.რურუა ა.ბურდულაძე
პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ გრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
<p>1. ხიდებისა და გზაგამტარების გამოკვლევა-გამოცდის სამუშაოები გულისხმობს ნაგებობების გამოკვლევას, მათი ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, და დროებითი დატვირთვის (დატვირთული თვითმცლელების) ზემოქმედების ქვეშ მისი მაღის ნაშენის ქცევის შესწავლას დეფორმაციების გაზომვით, მისი მზიდუნარიანობის განსაზღვრისათვის. გამოკვლევა-გამოცდის შედეგების ანალიზის საფუძველზე კეთდება კონკრეტული ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნა და მისი ექსპლოატაციის რეჟიმის განსაზღვრა.</p> <p>2. 3. 5. 6. ხელსაწყოთი <b>Piletest</b> ხდება ნაბურდნატენი ხიმინჯის ტანის მთლიანობის განსაზღვრა, რაც განაპირობებს ხიმინჯის მუშაობის ადექვატურობას საანგარიშო სქემასთან და რითაც მოწმდება სამუშაოს შესრულების ხარისხი. გამოკვლევის შედეგად კეთდება დასკვნა ხიმინჯის ვარგისიანობის შესახებ.</p> <p>4. სტატიკურ დატვირთვაზე ნაბურდნატენი ხიმინჯების გამოცდა წარმოებს ხიმინჯის რეალური მზიდუნარიანობის განსასაზღვრელად და ნორმებით მოთხოვნილ მის სიდიდესთან შესადარებლად. სტატიკური დატვირთვა წარმოებს ჰიდროდომქრატების მეშვეობით გარკვეული დროის განმავლობაში და ეტაპობრივად, რის დროსაც იზომება ხიმინჯის გადადგილება. გამოცდის შედეგების ანალიზისას განისაზღვრება ხიმინჯის მზიდუნარიანობა და დასკვნის სახით ხდება მისი სიდიდის დადგენა.</p>			

საგზაო დეპარტამენტის პროფესორმა მანანა მოიხსრაფიშვილმა ითანამშრომლა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის გუნდთან, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელმა და გაიმარჯვეს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საქართველო (MCA-Georgia) პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის (ISWD) საგრანტო კონკურსის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის (PICG) პროექტით: „პროფესიული სწავლების დუალური მეთოდის განვითარება სარკინიგზო დარგში და სარკინიგზო შრომის ბაზრის გაუმჯობესება”.